საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. • № 173 (452) ოთხშაბათი, 9 სექტემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

შეთანხმების შესასრულებლად

მოსკოვი, 8 სექტემბერი (იტარ-ტასი). დღეს დილით, 3 სექტემბერს ბორის ელცინისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი შემაჯამებელი დოკუმენტის შესასრულებლად მოსკოვიდან მიფრინავენ აფხაზეთში კონტროლისა და ინსპექციის მრავალმხრივი კომისიის რუსეთის ნაწილის წევრები. ეს განაცხადა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის პრესცენტრმა.

კომისიამ უნდა უზრუნველყოს ცეცხლის შეწყვეტის მორიგებათა დაცვა, აგრეთვე შემაჯამებელი დოკუმენტის სხვა დებულებათა შესრულება. რუსეთის ნაწილის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვორობიოვი, შევიდნენ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს, თავდაცვის, უშიშროების, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, რკინიგზათა სამინისტროების, მიგრაციული სამსახურის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ყაბარდო-ბალყარეთისა და ომის საბჭოს, ადიღეს რესპუბლიკის, შრომის, შეიარაღებული ძალებისა და სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი:

ოჩამჩირე

ბრძოლები მიმდინარეობდა სოფელ ტამიშთან. დილით ბოევიკებმა ცეცხლი დაუშინეს გამვლელ მსუბუქ ავტომანქანას, რომელშიც სამოქალაქო პირები ისხდნენ და 3 კაცი დაჭრეს. საშველად მოსული გვარდიელთა ჯავშანტრანსპორტიორი დანაღმულ ხიდზე აფეთქდა, 6 კაცი დაიჭრა. ხიდთან აღმოჩნდა დიდძალი ასაფეთქებელი მასალა და 2 ჟანგბადის ბალონი. დაკავებულია დანაღმვაში ეჭვმიტანილი პირი, მიმდინარეობს ძიება.

ქობულეთი

7 სექტემბერს 20 საათიდან გაფიცვა გამოაცხადეს ჩაქვის, მახინჯაურის და ქობულეთის რკინიგზის სადგურების დისპეტჩერებმა. მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

ზუგდიდი

სოფელ ანაკლიის ტყეში ეგერებმა 3 საეჭვო პირი შენიშნეს. გაქცევის მცდელობისას ერთი მათგანი დაჭრეს და დააკავეს. მას არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდა. კავკასიური შესახედაობისაა, ეროვნებას არ ასახელებს. ზურგჩანთაში რამდენიმე წყვილი სამოქალაქო ტანსაცმელი და საქართველოს ზღვის სანაპიროს რუკა იდო. მისი განმარტებით, ნაპირ-ნაპირ მოდიოდა და სოხუმში უნდა ჩასულიყო.

ყვარელი

კიდევ ორი ბანდიტი დააკავეს ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში. ესენი არიან გელა გაჩეჩილაძე და დათო კარაშვილი. ისინი თბილისელები არიან. ამოღებულია 7 ავტომატი 18 მჭიდით, 17 ხელყუმბარა, 2 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, ერთი ხელის ნაღმსატყორცნი, დიდძალი ავტომატის ვაზნები.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი - მოვლენა კომენტარი

საქართველო პირველად იქცა საზღვრებს გარედან ფართო მასშტაბის სამხედრო აგრესიის, ხოლო თბილისის მოსახლეობა — საერთაშორისო ტერორიზმის ობიექტად

ფოტორეპორტაჟი სოხუმიდან

წინააღმდეგობა კლებულობს

მოსკოვის შეთანხმება აფხაზეთის თაობაზე ძალაში შევიდა. მცირდება წინააღმდეგობა საქართველოს ეროვნულ არმიასა და ეგრეთ წოდებულ აფხაზეთის გვარდიას შორის. მშვიდობიანი ცხოვრება თანდათანობით მკვიდრდება. მაგრამ ჯერ კიდევ გაისმის სროლის ხმა გაგრისა და ბიჭვინთის ზონაში, სოხუმის მიდამოებში. მუშაობას შეუდგა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ სიგუას მეთაურობით შექმნილი მთავრობის კომისია.

დიდი ყურადღება ეთმობა რეგიონის სურსათით უზრუნველყოფას. საქართველოს ყველა კუთხიდან მოდის აქ მედიკამენტები, კვების პროდუქტები.

ფოთის ხილბოსტანვაჭრობამ სოხუმში თევზსაჭერი სეინერით ათობით ტონა კარტოფილი და ხახვი ჩამოიტანა.

სასარგებლო შრომას ეწევიან „მწვანეთა“ პარტიის შტაბბინის თანამშრომლები. აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან აქ მოქმედებს აფხაზეთის დახმარების სამოქალაქო შტაბი. აქედან სოხუმში რეგულარულად იგზავნება ჰუმანიტარული დახმარება.

* * *

სურათებზე: ეგრეთ წოდებული კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის სამხედრო ქვეგანაყოფებისა და რეზერვისტებისაგან რომ გაწმინდოს აფხაზეთი, აქ ჩამოვიდა საქართველოს ეროვნული გვარდიის საჰაერო დესანტი; „მწვანეთა“ პარტიამ თვითმფრინავის სპეციალური რეისით აფხაზეთში ჩამოიტანა პროდუქტები და სამედიცინო პრეპარატები. მიმდინარეობს გადმოტვირთვა; თევზსაჭერმა სეინერმა სოხუმში ჩამოიტანა კარტოფილის პირველი პარტია.



ირაკლი ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოგმართავთ ყველას, ვისაც სამშობლოს მომავალზე შეგტკივათ გული

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართვა საქართველოს მოქალაქეებისადმი

თანამემამულენო!

უკიდურესად მძიმე დღეები უდგას საქართველოს. კატასტროფის წინაშე დგას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. ზოგიერთ პირთა მოქმედებას, რომელთა მიზანი ჩვენი სამშობლოს დანაწევრება-დაგლეჯაა, ემატება ის გაუთავებელი შინაომები და უმიზნო სისხლისღვრა, რასაც შეუძლია საქართველო დაღუპვის პირას მიიყვანოს.

უამრავი სიცოცხლე შეიწირა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სიცოცხლე ჩაქრება უდროოდ, რამდენი ოჯახი გაუბედურდება კიდევ და შეიმოსება ძაძებით, თუ დროზე არ აღიკვეთა ის განუკითხაობა და ქაოსი, რაც დღეს სუფევს საქართველოში. ყოველი ქართველი ერისშვილის სანუკვარი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო, მისი შესვლა მოწინავე, დემოკრატიული ქვეყნების ოჯახში, და, ამ მიზანსაც მივაღწიეთ. აგვიხდა დიდი ხნის ნანატრი ოცნება — საქართველო გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, დღე-დღეზე გავხდებით იუნესკოს წევრი, მაგრამ, დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოსათვის, მისი საერთაშორისო ავტორიტეტისა და ძლიერების განმტკიცებისათვის აუცილებელია სასწრაფოდ შეწყდეს ყოვლად უაზრო და გაუმართლებელი ძმათამკვლელი ომი.

დივერსიები რკინიგზის ხაზებზე, აფეთქებული ხიდები, დამწვარი სკოლები და საბავშვო ბაღები, ვის წინააღმდეგაა ყველაფერი ეს მიმართული? იმ სკოლებში და საბავშვო ბაღებში ხომ ჩვენი შვილები დადიან, იქ ხომ საქართველოს მომავალი იზრდება, იმ რკინიგზებზე გადაზიდული ტვირთი ხომ საქართველოს მოსახლეობისათვის, ჩვენი დედების, დების, ძმების და შვილებისთვის არის განკუთვნილი.

ხომ არ მოვიდა დრო, რომ დივერსიების მომწყობებმა საკუთარ თავს დაუსვათ კითხვა, ვის ვუფეთქებთ გზებს? ვის ვუწვავთ სკოლებსა და საბავშვო ბაღებს? ვის ვესვრით ტყვიას? საკუთარ ხალხს? სისხლით ნათესავებს? ნუთუ არ დაფიქრებიხართ იმას, რომ ყოველი აფეთქებული ხიდი და დამწვარი შენობა, ეს ხომ ჩვენი საერთო სამშობლოსათვის, საქართველოსათვის, მისი ერთიანობისა და მთლიანობისათვის მიყენებული ძნელად მოსაშუშებელი იარაა?

ქართველის ხელით ქართველის მოკვდინება კი ეროვნული ტრაგედიის კიდევ ერთი შავი ფურცელი და შეუნდობელი ცოდვაა.

დიდი გამჭრიახობა არაა იმისათვის საჭირო, რომ თვალნათლივ დავინახოთ, თუ ვის აძლევს ხელს ქართველთა ამგვარი დაპირისპირება, ეს ხომ მათი დიდი საწადელია, ვისაც საქართველოს დაქუცმაცება განუზრახავს, ვისაც საქართველოს ძირძველ მიწაზე ყბადაღებული, მარიონეტული სახელმწიფოების შექმნა სურს, რათა საქართველო ვეღარასოდეს გახდეს ძლიერი, ხოლო მისი მოსახლეობა ბედნიერი, რათა ქართველი ერი საბოლოოდ დაიქსაქსოს და გაიყოს.

მოძმეთა შორის ბზარის გაჩენა, ქართველთა შორის შუღლი, ქიშპი და შეიარაღებული კონფრონტაცია დამღუპველია საქართველოსთვის და, საერთოდ, კითხვის ქვეშ აყენებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოს არსებობას.

ჩვენ ღრმად გვჯერა, რომ იმ ხალხს, ვისაც დღეს იარაღი აუსხამს და ტერორისტულ რეიდებს აწყობს საქართველოს სიღრმეში, ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული, რომ ამით ისინი საქართველოს მთლიანობას არყევენ, ძირს უთხრიან საქართველოს სახელმწიფოს, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს ცივილიზებულ ქვეყნად ჩამოყალიბების რთულ გზაზე. ამგვარი ქმედების არავითარი პოლიტიკური მოტივებით გამართლება არ შეიძლება.

დღეს ერთმანეთთან იარაღის ენით ლაპარაკი კატასტროფის ტოლფასია. ყველამ ხელი უნდა მოვკიდოთ ჩვენს საქმეს და ვეცადოთ ვაშენოთ საქართველოს ძლიერებისათვის აუცილებელი საძირკველი. ამისათვის საჭიროა დავივიწყოთ უთანხმოებანი და საბოლოოდ შევრიგდეთ, რათა ერი გამთლიანდეს და ერთობლივი ძალით შევებრძოლოთ იმ განსაცდელს და უამრავ მწვავე პრობლემას, რაც დღეს საქართველოს წინაშე დგას.

საქართველოს ხელისუფლებამ არაერთგზის გამოხატა თავისი მიმტევებლობა და გულისხმიერება იმათ მიმართ, ვინც უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებშია გაერთიანებული. ეს დამოკიდებულება ნათლად გამოიხატა იმ ამნისტიებში, რომლებიც არაერთგზის გამოცხადდა ამ რამდენიმე თვის განმავლობაში. ხელისუფლების ლოიალობა განსაკუთრებით გამოიკვეთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 8 აგვისტოს მანიფესტში, რომელშიც კერძოდ ნათქვამია: „...ახალი წესრიგი შინააშლილობის დაძლევას, ეროვნული თანხმობის დამკვიდრებას ითხოვს უსისხლოდ, უმსხვერპლოდ, ცეცხლისა და მახვილის გარეშე“.

ასევე დიდი მიმტევებლობა გამოიკვეთა ბატონ ედუარდ შევარდნაძის რადიოგამოსვლაშიც, რომელშიც მან ბრძანა, ხელისუფლება არ არის დაინტერესებული, რომ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრთა იზოლირება მოხდეს იარაღის ძალით, ყველას შეუძლია გამოვიდეს ტყიდან, ჩააბაროს იარაღი და იმუშაოს სურვილისამებრ, ვისაც მძიმე დანაშაული არ აწევს, უფლება ექნება საქართველოს შინაგანი უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად იარაღით ხელში იმსახუროს ეროვნული პოლიციისა და ეროვნული ჯარის რიგებში. ამის გარანტიას ხელისუფლება, თუ საჭიროა, დოკუმენტებითაც კი დაადასტურებს.

ითვალისწინებს რა შექმნილ მდგომარეობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავს ვალდებულად თვლის განაცხადოს შემდეგი:

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა მოგიწოდებთ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ყოველ წევრს — ჩააბარეთ იარაღი და დაუბრუნდით ნორმალურ ადამიანურ ცხოვრებას; სურვილისამებრ თქვენ შეგიძლიათ ამოირჩიოთ სამუშაო ადგილი ან გააგრძელოთ სწავლა.

— იმ პირებს, ვისაც ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე არ მიუძღვით მძიმე დანაშაული და აქვთ სურვილი იარაღით ხელში ემსახურონ თავის სამშობლოს, მივიღებთ საქართველოს პოლიციის რიგებში, რათა მხარდამხარ ვებრძოლოთ ყველა იმ ბოროტებას, რაც დღეს საქართველოს გადაშენებით ემუქრება. მხოლოდ სიკეთეს ძალუძს ბოროტების დათრგუნვა. სიყვარულმა უნდა შეგვაძლებინოს დანგრეულის აღდგენა, მიტევება, პატიება და, რა თქმა უნდა, შერიგება.

მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს კეთილდღეობა და სამშობლოს მომავალი, ვინც პირად ამბიციებს არ აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებზე წინ, დადეთ იარაღი და დაუბრუნდით ოჯახებს, შეწყვიტეთ უაზრო სისხლისღვრა, დივერსიები, ტერორისტული აქტები, მძევლად აყვანა. საქართველო სისხლისგან დაიცალა, გვეყო ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა. ჩვენ გარეშე მტერიც უზომოდ გვყავს, და უნდა გავერთიანდეთ ერთსულ და ერთხორც მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ისტორია არ გვაპატიებს, მომავალი თაობა არ გვაპატიებს დღევანდელ მდგომარეობას.

გვაქვს დიდი იმედი, რომ მოგვისმენთ და ბოლომდე ჩასწვდებით ჩვენს გულის ნადებს, გაიაზრებთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს და მიიღებთ სწორ გადაწყვეტილებას ღმერთისა და ქართველი ერის წინაშე!

მშვიდობა რომ მუდმივად დამკვიდრდეს

ირინე სარიშვილი,
საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების გამგე.

რუსეთ-საქართველოს 3 სექტემბრის შეთანხმება: ზოგადი ანალიზი და პროგნოზი

უკანასკნელი თვის მანძილზე ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება მთლიანად მიმართული იყო დას[illegible] საქართველოში, სახელდობრ, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისადმი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტთა შორის თავისი დრამატიზმითა და მოსალოდნელი შორსმიმავალი შედეგებით აფხაზეთის მოვლენებმა უპირველესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა. საქართველო პირველად იქცა საზღვრებს გარედან ფართო მასშტაბის სამხედრო აგრესიის, ხოლო თბილისის მოსახლეობა — საერთაშორისო ტერორიზმის ობიექტად.

ჩვენი საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი კონფლიქტის წინაისტორია და მის გამომწვევ მიზეზთა ფართო სპექტრი. გაშუქებული იყო აგრეთვე კონფლიქტის გადამწყვეტი სამართლებრივი მექანიზმიც, საერთოდ, აფხაზური პრობლემის სამართლებრივ იურიდიული მხარე, ამ მხრივ წინა ხელისუფლების დროს დაშვებული უმძიმესი შეცდომები, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ანტიდემოკრატიული, ქართული მოსახლეობისათვის დისკრიმინაციული საარჩევნო კანონი, რომელმაც აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში სეპარატისტულ-ექსტრემისტული ძალები მოიყვანა (ამასთან, რა თქმა უნდა, ეს კანონი ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზია უკანასკნელ ხანს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისა, რამეთუ აფხაზური პრობლემის გეგმაზომიერი გაღვივება და აფხაზთა შორის სეპარატისტული განწყობილებების დათესვა საქართველოს გასაბჭოების დღიდან დაიწყო).

სამწუხაროდ, აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მისი წმინდად სამართლებრივი, მშვიდობიანი პოლიტიკური გზით გადაჭრა ვერ მოხერხდა. რატომ? ეს ყველასათვის ნათელია, ისევე როგორც ნათელია დამნაშავე მხარის ვინაობა: საქართველოს ხელისუფლებას არანაირად არ აძლევდა ხელს ის საომარი მოქმედება, რომელიც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა იძულებით, აფხაზ სეპარატისტთა, შემდგომ კი უცხო ქვეყნის ეგრეთ წოდებული მოხალისეთა მოქმედების საპასუხოდ განახორციელა. სწორედ ამიტომ, ძნელია გადაუჭარბებლად შეაფასო საქართველო-რუსეთის 3 სექტემბრის შეთანხმების — შემაჯამებელი დოკუმენტის მნიშვნელობა, რომლის სრულმა და რეალისტურმა ანალიზმა უნდა უზრუნველყოს ოპტიმალური სამომავლო პოლიტიკური კურსის შემუშავება და განხორციელება. იმაზე, თუ რამდენად სწორი დასკვნები გაკეთდება დღეს, ბევრად არის დამოკიდებული არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთელი საქართველოს მომავალი.

ამთავითვე კატეგორიულად უნდა აღინიშნოს, რომ საფუძველშივე მცდარია და საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის მავნე 3 სექტემბრის სამშვიდობო დოკუმენტის, როგორც ერთი რომელიმე მხარის გამარჯვების დამადასტურებელი იურიდიული აქტის, ინტერ-

(დასასრული მე-2 გვ.)

ნომერში

⊙ რა მოხდა ყვარელში? ანუ საქართველოს წინააღმდეგ შეთქმული „ქართველები“. 2
⊙ ჯვრის მონასტერი ქართულ ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს. 3

ინტერვიუ ნომერში

თენგიზ სიგუა: ცეცხლი და სამხედრო კონფრონტაცია უნდა შეწყდეს

გუშინ სოხუმში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც ბატონი თენგიზ სიგუა ხელმძღვანელობს. დელეგაცია შეხვდება აფხაზეთის მხარეს 3 სექტემბერს მოსკოვში მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზაციის გზების დასასახავად.

შეხვედრის დაწყების წინ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტმა მოკლე ინტერვიუ სთხოვა ბატონ თენგიზ სიგუას.

— ეს ჩვენი მეორე შეხვედრაა, — თქვა ბატონმა თენგიზმა. — ექვს სექტემბერს, პირველი შეხვედრის დროს, შევთანხმდით, რომ დღევანდელ შეხვედრაში პირველად მიეღო მონაწილეობა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს. ექვსშივე მოვილაპარაკეთ და გავაფორმეთ შესაბამისი დოკუმენტებიც ამის თაობაზე, რომ საღამოს 9 საათიდან შეწყვეტილიყო ცეცხლი და ყოველგვარი სამხედრო კონფრონტაცია. მაგრამ, სამწუხაროდ, ხელშეკრულების ეს ნაწილი ფაქტობრივად არ შესრულდა. იმავე ღამეს განახლდა და გუშინაც გრძელდებოდა სროლა. ასე იყო 7 სექტემბერსაც. ამიტომ პირველი საკითხი, რომელსაც დღევანდელ შეხვედრაზე დავაყენებთ, მიეძღვნება იმის გარკვევას, თუ ვინ დაიწყო სროლა და რა მიზეზით არ შესრულდა ექვსში გაფორმებული ხელშეკრულება. მეორე მნიშვნელოვანი და, ჩემი აზრით, ძირითადი საკითხი იქნება ე. წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციის დაქირავებული მეომრების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან.

პირველ შეხვედრაზე აფხაზეთის მხარემ წამოაყენა წინადადება, რომ ეს ღონისძიება შვიდი დღის მანძილზე განხორციელებულიყო. ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი წავედით და ვფიქრობთ, რომ დღეიდან, სამი დღის ვადაში, ყველა შემოსული უცხოტომელი უნდა გავიდეს საქართველოს ტერიტორიიდან. ამისი ტექნიკური შესაძლებლობა არსებობს და დღეს ერთ-ერთ მთავარ საკითხად სწორედ ამას განვიხილავთ.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების რაც შეიძლება მალე გახსნა, რათა ტრანსპორტმა უსაფრთხო მოძრაობა დაიწყოს, რისი გარანტიაც ორივე მხარემ უნდა მისცეს. ჩვენი სადარისო ნაწილების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა იქნება ის, რომ საქართველოს საზღვრის უკიდურესი წერტილიდან — მდინარე ფსოუდან, ანუ ლესელიძიდან მოყოლებული სამტრედიამდე დაიცვან კომუნიკაციები და არ დაუშვან ხიდების, გვირაბების, ლიანდაგების აფეთქება. საქართველოში ყველამ იცის, რა უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი რესპუბლიკისა და სომხეთის ეკონომიკა ამ ბანდიტური აქციების გამო: ზარალმა 11 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ამიტომ, ცხადია, ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მალე აღდგეს ამ კომუნიკაციათა ნორმალური ფუნქციონირება.

და, ბოლოს, ერთი საგულისხმო ფაქტი. ჩვენ მივიღეთ ოფიციალური შეტყობინება იმის შესახებ, რომ აფხაზეთის მხარემ გამოყო დელეგაცია მოლ[illegible]რაკებაში მონაწილეობის მ[illegible]. ჩვენ იგი ჩავრთეთ საქა[illegible] დელეგაციაში, მაგრამ, როგორც ამ დილით შემატყობინეს, არძინბას დელეგაციის შემადგენლობა შეუცვლია. დღეს დაზუსტებით გვეცოდინება ამ შეცვლის მიზეზი და გავეცნობით დელეგაციის ახალ წევრებს.

არძინბა, როგორც ყოველთვის, თავს არიდებს ასეთ შეხვედრებში მონაწილეობას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის პოზიციას, იმას, რომ მას არ სურს, მშვიდობიანად დამთავრდეს ეს კონფლიქტი.

დანიშნული შეხვედრა გუშინ არ გამართულა, რადგან რუსეთის ფედერაციის კომისია უამინდობის მომიზეზებით სოხუმში ვერ ჩამოფრინდა. მაგრამ, როგორც წუხელ, გვიან ღამით გაირკვა, ეს კომისია ადლერიდან მაინც გამოფრინდა და სოხუმის ნაცვლად რატომღაც... გუდაუთაში ჩავიდა (?!). დღევანდელ შეხვედრაზე ალბათ გაირკვევა, რა იყო მარშრუტის ასეთი არაორიგინალური შეცვლის მიზეზი.

ბოლო ხანს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით განზრახ თუ უნებლიეთ საქართველოს შესახებ ხშირად გადაიცემა მცდარი ინფორმაცია.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში თურქეთის რესპუბლიკის თბილისის გენერალური საკონსულოდან მოვიდა განცხადება, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

თურქეთის რესპუბლიკის თბილისის გენერალური საკონსულოს განცხადება

1992 წლის 2 სექტემბერს სააგენტო „ნეგამ“ გაავრცელა ცნობა, თითქოს ამა წლის 1 სექტემბერს თურქეთის დიდი ეროვნული კრების (მეჯლისის) სხდომაზე სიტყვით გამოსულიყოს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი თურღუთ ოზალი, დაეგმოს და მკაცრად გაეკრიტიკებინოს საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ და მოეწოდებინოს შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის, რომ დაიწყონ მოქმედება აფხაზეთის დასაცავად.

თურქეთის რესპუბლიკის თბილისის გენერალური საკონსულო უფლებამოსილია განაცხადოს, რომ აღნიშნული ცნობა მტკნარი სიცრუეა, რომლის მიზანია ჩრდილი მიაყენოს თურქეთისა და საქართველოს კეთილ ურთიერთობას და შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი. უნდა მოგახსენოთ, რომ 1 სექტემბერს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი საერთოდ არ გამოსულა სიტყვით მეჯლისის სხდომაზე. იმ დღის საღამოს იგი გამოვიდა თურქეთის ტელევიზიით და შეეხო კავკასიის მოვლენებს, მაგრამ ერთხელაც არ უხსენებია სიტყვა საქართველო.

კარიკატურისტის კომენტარი


გესმის, ეს გაფუჭებული რას ამბობს, ეს იდეალური ნაღმები ჩემი საყვარელი საქართველოსთვის მქონდა გადამალული!?

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

მშვიდობა რომ მუდმივად დამკვიდრდეს

(დასასრული)

პრეტაცია. გამოვდივართ რა ქრესტომათიული ჭეშმარიტებიდან, ნებისმიერ ანალოგიურ სამხედრო კონფლიქტს ერთნაირი უბედურება მოაქვს კონფლიქტის ორივე მხარისათვის (მხედველობაში გვაქვს კონფლიქტი ერთი სახელმწიფოს მოსახლეობაში), ამდენად, მშვიდობის აღდგენა ორივე მხარის ტოლფასი გამარჯვებაა.

8 სექტემბრის დოკუმენტი ბევრ ისეთ მომენტს მოიცავს, რომელთა მნიშვნელობა და ფასი გარკვეული დროის შემდეგ უფრო სრულად გამოჩნდება, მთავარი მომენტები კი დღესაც ნათელია: უპირველეს ყოვლისა, ეს არის საღი აზრის გამარჯვება უგუნურებაზე, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ომების ნაირსახეობებში ყველაზე უაზრო და გამანადგურებელ სახეობას — სამოქალაქო ომს, ამავე დროს, დოკუმენტი სერიოზული საბრალდებო აქტია ექსტრემისტული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც ტრივიალურ სეპარატიზმამდე დააკნინა სახალხო სუვერენიტეტის კეთილშობილი იდეა. აფხაზმა სეპარატისტებმა, ნაცვლად იმისა, რომ თავიანთ მთავარ საზრუნავად ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება ექციათ, ერთა თვითგამორკვევის იდეის სპეკულაციით, ამ იდეის გამოვლინების მთელი მრავალფეროვნების აკუმულირება მის მხოლოდ ერთ უკიდურეს ფორმაში — საქართველოდან აფხაზეთის მოწყვეტასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობაში მოახდინეს, რითაც საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპზე აღმართეს ხელი.

დაუფიქრებლად იმოწმებენ რა ხალხთა თვითგამორკვევისა და თავისუფლების უფლებას, აფხაზი სეპარატისტები ცინიკურად თელავენ ფეხქვეშ იმავე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1960 წლის ცნობილ დეკლარაციას კოლონიალიზმისაგან ქვეყნებისა და ხალხების გათავისუფლების შესახებ, სადაც პირდაპირაა ნათქვამი: „ყოველი მცდელობა, რომელიც მიმართულია ქვეყნის ეროვნული ერთობისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივი ან მთლიანი დარღვევისაკენ, შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან და პრინციპებთან“.

8. სექტემბრის დოკუმენტში ჰარმონიულად არის შერწყმული სამართალი დიპლომატიზმის გამომრიცხავ სამართლიანობასთან. ამის ნათელი ილუსტრაციაა ქართველი და აფხაზი ხალხის, ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების რეალური ინტერესების (და არა სეპარატისტპოლიტიკანთა ზრახვების) სრულად წარმოჩენა და მათი დაცვის გარანტია. ამ მხრივ საყურადღებოა დოკუმენტის მე-8 მუხლი, სადაც მხარეები ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას საერთაშორისო ნორმებისადმი ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საკითხებში და ვალდებულებას კისრულობენ, უზრუნველყონ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები (როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, აფხაზეთის ანტიდემოკრატიულმა არჩევნებმა დიდად შეუწყო ხელი დღევანდელი ტრაგედიის დაჩქარებას, ამიტომ დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები უნდა იქცეს აფხაზეთში მცხოვრები ყოველი ადამიანის სამოქალაქო უფლებათა დაცვის მთავარ გარანტად).

8 სექტემბრის დოკუმენტის პირველსავე მუხლში აღნიშნულია, რომ „უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა“, რაც, ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობის კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარებაა. ამასთან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეს სულაც არ ნიშნავს აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის უფლების შებღალვას.

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერებს, რომლებიც ჯერ კიდევ თვითმმართველობის ცნების საბჭოური თეორიის ტყვეობაში არიან, მცდარად მიაჩნიათ, რომ აფხაზი ხალხის თვითმმართველობის იდეის განხორციელება მხოლოდ ფედერაციის პირობებშია შესაძლებელი და ვინაიდან ეს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, ერთადერთ გამოსავლად მათ ფაქტობრივად ეგრეთ წოდებული კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია მიიჩნიეს. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ სწორედ გუდაუთის რაიონის, სოფელ ლიხნის კულტურის სასახლეში ჩაეყარა საფუძველი ხსენებულ ორგანიზაციას (1991 წლის 11 ნოემბერი), ხოლო მისი წინამორბედი — კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა 1989 წლის სოხუმის ცნობილი მოვლენების შემდგომ შეიქმნა. როგორც ვხედავთ, კონფედერაცია აშკარად ანტიქართული განწყობის ნიადაგზე აღმოცენდა, ხოლო 8 სექტემბრის დოკუმენტი ჯერჯერობით პირველი საერთაშორისო-იურიდიული ძალის მქონე აქტია, რომელიც კანონგარეშე აცხადებს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ კონფედერაციის ყოველგვარ ქმედებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 8 სექტემბერს მიღწეულ შეთანხმებამდე სულ ათიოდე დღით ადრე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფო მოღვაწეები აფხაზეთში სისხლისღვრის მთავარ მიზეზად საქართველოს სამხედრო შენაერთთა შეყვანას ასახელებდნენ, ხოლო მშვიდობის აღდგენის ერთადერთ საშუალებად — სწორედ ამ შენაერთთა აფხაზეთიდან სასწრაფო და უპირობო გამოყვანას, 8 სექტემბერს კი ზემოხსენებულმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, უკლებლივ ყველამ, ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოს სამხედრო შენაერთების საჭირო რაოდენობით დარჩენა აფხაზეთის ტერიტორიაზე, სხვა ყველა ფორმირების სასწრაფო და უპირობო გასვლა საქართველოს, მათ შორის, აფხაზეთის ტერიტორიიდან, აკრძალვა ეხება სწორედ ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილ ე. წ. მოხალისეთა შეიარაღებულ რაზმებს. რაც შეეხება აფხაზი ხალხის ეროვნული უფლებების დაცვას, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, განსაკუთრებით ესპანეთი), ეროვნულ უმცირესობათა დაცვა უნიტარულ სახელმწიფოშიც წარმატებით და ზოგჯერ უფრო ეფექტიანადაც ხორციელდება.

„ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს“ — ამბობდნენ ძველი რომაელები და მას შემდეგ ამ პოზიციაზე დგას პროგრესული კაცობრიობა, რაც, თავისთავად სულაც არ გამორიცხავდა და არც დღეს გამორიცხავს ბევრ შემთხვევაში ხელშეკრულების ფარატინა ქაღალდად ქცევას. რასაკვირველია სერიოზული სიძნელეები ელის 8 სექტემბრის დოკუმენტის რეალიზაციასაც, მაგრამ, ამასთან, არც დოკუმენტის მე-12 მუხლის უგულებელყოფა იქნებოდა სწორი, სადაც ნათქვამია: „მხარეები მიმართავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს თხოვნით, მხარი დაუჭირონ ზემოთ ჩამოყალიბებულ მოწესრიგების პრინციპებს და ხელი შეუწყონ მათ რეალიზაციას; სახელდობრ, მოავლინონ მისიები ფაქტების დასადგენად და მეთვალყურეები“.

იუგოსლავიის, მოლდოვეთის, მთიანი ყარაბაღის კოლიზიებმა უკიდურესად მგრძნობიარე გახადა ანალოგიური მოვლენებისადმი საერთაშორისო საზოგადოებრიობა, პირველ რიგში ევროპის სახელმწიფოები. მთიანი ყარაბაღსა და შიდა ქართლის კონფლიქტმა კავკასიაც „რისკის ზონად აქცია“, ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ აფხაზეთის ბოლოდროინდელ მოვლენებამდე ჰოლანდიამ ჰელსინკში დაბეჯითებით მოითხოვა ეროვნულ უმცირესობათა საკითხში უმაღლესი რწმუნებულის (კომისრის) თანამდებობის დაწესება.

1992 წლის ჰელსინკის თათბირის დოკუმენტის თანახმად, დაწესდა ეროვნულ უმცირესობათა საკითხების ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს უმაღლესი კომისრის პოსტი. საფრანგეთმა უფრო ადრე წამოაყენა წინადადება, შექმნილიყო მომრიგებლური სასამართლო და არბიტრაჟი, რომელთაც სანქციებით გამაგრებული გადაწყვეტილებების მიღების უფლება ექნებოდათ. დიდი ბრიტანეთის აზრით, აუცილებელია, დაკანონდეს ჰელსინკის პროცესის წევრ სახელმწიფოთა შინაგან საქმეებში ჩარევა სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით. ნატოს ხელმძღვანელობა მზად არის, სამხედრო კონტინგენტიც კი გამოჰყოს ამისათვის.

ცხადია, ნებისმიერი ზემოჩათვლილი მექანიზმი კარგს არაფერს უქადის არც აფხაზ სეპარატისტებს და არც „კონფედერატებს“. 8 სექტემბრის დოკუმენტმა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მხოლოდ ქაღალდზე დარჩება, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოხსნა მათ ეროვნული გმირებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლთა შარავანდედი და საკუთარი რეალური სახით წარმოაჩინა ისინი.

8 სექტემბრის დოკუმენტით ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, გაცილებით უფრო პერსპექტიული და ამდენად, უფრო პასუხსაგებიც როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლების უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს ყველა იმ ხარვეზის, შეცდომის ოპერატიული ანალიზი და უმოკლეს ვადებში გადაწყვეტა, რომლებიც აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიამდეც არსებობდა, მაგრამ მთელი სიმწვავით სწორედ აფხაზეთის მოვლენებისას იჩინა თავი, ეს ეხება როგორც კადრების პოლიტიკას, ასევე ეკონომიკურ, სამედიცინო, რაც ყველაზე უფრო მთავარია, სამხედრო სფეროებს. მოვლენების ზედაპირული ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ ჩვენი საშინაო პოლიტიკის მთავარი უბედურება ანარქიამდე მისული უდისციპლინობაა, ხოლო აფხაზეთის ტრაგედიის დროს შექმნილი პრობლემების დიდი ნაწილი პირველ რიგში ეროვნული არმიის არარსებობას უკავშირდება, რაც თავის კვალს ტოვებს როგორც წმინდა სამხედრო, ასევე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ნებისმიერი სხვა სახის მდგომარეობაზე. მით უფრო, როდესაც 8 სექტემბრის დოკუმენტის რეალიზაციაზე ვლაპარაკობთ, ყველას კარგად ესმის, თუ რა სახის სიძნელეებს შეიძლება წავაწყდეთ. რა თქმა უნდა, როგორც 8 სექტემბრის დოკუმენტის შემთხვევაში, შეიძლება შემდეგაც დიპლომატიამ გადაგვარჩინოს ჩვენი ბიჭების სიცოცხლის ფასად, მაგრამ ფასიც არის და ფასიც, მით უფრო, როცა ჩვენს შეცდომებს თვალნათლივ ვხედავთ და დღეს ამაზე თვალის დახუჭვა, გაჩუმება საქართველოს ეროვნული ინტერესების ღალატის ტოლფასია. დროა, საქართველო მთელი თავისი ატრიბუტებით ნამდვილ სახელმწიფოდ გადაიქცეს, ამის საშუალებას შეცდომების, ისევე როგორც დადებითი მხარეების, დეტალური ანალიზი და სწორი დასკვნები მოგვცემს. ეს საჭიროა არა მარტო 8 სექტემბრის დოკუმენტის რეალიზაციისათვის, არამედ ნებისმიერ დროს, უბრალოდ, ნორმალური სახელმწიფოებრივი ცხოვრებისთვისაც. სახელმწიფო ყოველთვის სახელმწიფოს უნდა გავდეს — ომშიც და მშვიდობაშიც, რადგან იქ, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები სუსტია, იქ, სადაც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი არ არსებობს, მშვიდობა ხანმოკლეა.

ფოტორეპორტაჟი

მშობლიური ქალაქის დასაცავად

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია იმდენად გათავხედდა, რომ საქართველოს დედაქალაქი უბედურების ზონად გამოაცხადა. დაქირავებული ბანდები ჩრდილოეთ კავკასიიდან ათასნაირი ხრიკებით ცდილობენ შემოაღწიონ ჩვენს რესპუბლიკაში. იმისათვის, რომ გზა დავუხშოთ ბანდიტებს, მათ, ვინც იარაღით ხელში ან სხვა რაიმე საშუალებით ცდილობს დაარღვიოს ჩვენი ქალაქის უშიშროება, თბილისის მერიასთან შეიქმნა საქართველოს დედაქალაქის დაცვის შტაბი. მას მეთაურობს თბილისის მერი ოთარ ლითანიშვილი. თბილისელი მოხალისეებისაგან ჩამოყალიბდა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ქალაქის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტებს იცავენ. მათ მიეცათ უფლება შეამოწმონ ყველა საეჭვო პირი. უკვე აღმოჩენილი და ჩამორთმეულია უამრავი იარაღი, საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალები. მაგალითად, ახლახან თბილისის აეროპორტში სპეცჯგუფი რომ შეამჩნია, მგზავრმა აღარ მიაკითხა თავის ხელბარგს, რომელშიც აღმოჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი და ბინის გასაქურდი ინსტრუმენტები.

ახალგაზრდობა ფხიზლად იცავს თავის მშობლიურ ქალაქს. საქართველოს დედაქალაქში ვერც ერთი ავისმოსურნე ვერ შემოაღწევს.

სურათებზე: თბილისის აეროპორტის დაცვის სპეციალური ჯგუფის სხდომას ატარებს ლევან თურმანიძე; საეჭვო პირთა ხელბარგის გასინჯვა თვითმფრინავის ტრაპთან თბილისის აეროდრომზე; საეჭვო მოქალაქეთა პირადი ნივთების გასინჯვა.

ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მამულს გული, უპირველეს ყოვლისა...

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტში გამართულ შეკრებაზე გამომცემლობების, სტამბების ხელმძღვანელებმა, მწერლებმა, მოხალისე რაზმების წევრებმა, მუშებმა დიდი სიხარულით აღიქვეს აფხაზეთთან მშვიდობიანი გზით მოგვარების დოკუმენტზე ხელის მოწერის უდიდესი ისტორიული ფაქტი. მათ წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი სამშობლოს ერთიანობისათვის დაღუპულ ვაჟკაცთა ხსოვნას. მამულისათვის თავდადებამ, სიმართლისათვის ბრძოლამ და, რაც მთავარია, დღევანდელი ხელისუფლების სწორმა პოლიტიკურმა გეზმა მიგვაღწევინა უდიდეს გამარჯვებას, რომელმაც წერტილი უნდა დაუსვას ძმათაშორის ომსა და სისხლისღვრას.

გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორმა, მწერალმა ჯანსუღ ღვინჯილიამ, „ნაკადულის“ დირექტორმა, პოეტმა იორამ ქემერტელიძემ, „განათლების“ დირექტორმა ლუკა ხუნდაძემ, დეპარტამენტის დირექტორმა რევაზ ოლონტმა, მისმა მოადგილეებმა, რამაზ კანდელაკმა, ზაურ გომართელმა და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ ეს გამარჯვება ძვირფასია ყველა ქართველი და აფხაზი პატრიოტისათვის, მათთვის, ვისაც გულწრფელად უყვარს თავისი ხალხი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთათვის მთავარია პირადი ამბიციები, და რაღაც აკვიატებული აზრების გამო მზად არიან გასწირონ საკუთარი შვილებიც კი. დროა, ისინი გონს მოეგონ და მხარში ამოუდგნენ იმ უმრავლესობას, რომელთაც უნდათ მშვიდობიანი გზით აშენონ ნამდვილად დემოკრატიული საქართველო.

შეკრებაზე უდიდესი მადლიერების გრძნობა გამოითქვა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიმართ. განსაკუთრებით აღინიშნა ის დიდი ღვაწლი, რაც მიუძღვის გამოჩენილ პოლიტიკოსს, ჭეშმარიტ მამულიშვილს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევაა საჭირო, რათა შესრულდეს შეთანხმების ყველა მოთხოვნა. მონაწილეებმა მზადყოფნა გამოთქვეს დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი ქალაქში, საწარმო-დაწესებულებებში.

მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლობებს, სტამბებს, წიგნის გამავრცელებელ ორგანიზაციებს მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვთ, მაინც რიცხავენ თანხებს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში.

დაზავება კვლავ დაირღვა

საქინფორმის პრესცენტრის კორესპონდენტი რ. ახმეტელი გვატყობინებს:

7 სექტემბერს ღამით კვლავ დაირღვა აფხაზთა და ქართველთა მხარეებს შორის არამდგრადი დაზავება. სოფელ ეშერის მახლობლად, განლაგებულმა საბრძოლო ფორმირებებმა ნაღმსატყორცნებისა და ავტომატების ცეცხლი დაუშინეს ქართველთა პოზიციებს. ბრძოლაში დაიღუპა 5 და დაიჭრა 18 ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი. არის მსხვერპლი თავდამსხმელ მხარესაც.

საქინფორმის კორესპონდენტმა, რომელიც იყო მოწინავე პოზიციებზე, ინტერვიუ ჩამოართვა პირველი ქართული ბატალიონის უფროსის მოადგილეს მერაბ ინაშვილს.

— მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი არ წყდება, — თქვა მან, — ჩვენ ვცდილობთ, მხოლოდ ვუპასუხოთ სროლას. ამ ბოლო დღეებში, ჩვენსა და აფხაზეთის ნაწილებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება. თითოეული მხრიდან თითო-თითო კაცი ხვდება ერთმანეთს ერთმანეთისაგან მცირე მანძილზე. ამ შეხვედრებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ მოწინააღმდეგეს არა აქვს არავითარი მართალი ინფორმაცია სოხუმში საქმის მდგომარეობის შესახებ. მათ არწმუნებენ, რომ ქართველებმა ნამდვილი გენოციდი მოუწყვეს აფხაზებს. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. ყველა აფხაზი, ვინც სოხუმში აღმოჩნდა, უწინდებურად განაგრძობს ცხოვრებას, ბევრნი უკვე გავიდნენ სამუშაოზე. ჩვენ ვცდილობთ, გადავარწმუნოთ ისინი.

რა მოხდა ყვარელში?

ბოლო ხანს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღება აფხაზეთთან ერთად მიპყრობილი იყო ყვარლის რაიონისაკენ, სადაც ტყეში დაბანაკებული ბანდიტთა ჯგუფი აღმოჩნდა. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, ვინაიდან კახეთი კრიმინოგენული მდგომარეობით, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, სტაბილურია. და აი, უცებ ტყეში დაბანაკებული შეიარაღებული ბანდა, რომელსაც, თურმე „პოლიტიკური“ მიზნებიც ჰქონია და ყვარელში ექსპრეზიდენტის ჩამოყვანაც განუზრახავს!

იდეის სრულ აბსურდულობაზე ლაპარაკიც კი არ ღირს, უფრო მთავარი და სასურველი იქნებოდა ჯეროვნად აღნიშნულიყო ყვარლის რაიონის მოსახლეობის უდიდესი ერთსულოვნება, რომელიც დღედაღამ იდგა (და ახლაც დგას) სოფლების, სახლ-კარის, სრულიად საქართველოს დასაცავად, მშვიდობიანი ცხოვრების შესანარჩუნებლად.

და მაინც, რა მოხდა ყვარელში? აი, ამ კითხვით მივმართეთ ყვარლის რაიონის პოლიციის უფროსს, მაიორ დიტო იოსებაშვილს:

—25 აგვისტოს შევიტყვეთ, რომ ჩამოსული იყო შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც დაბანაკებულია ყვარლის ტერიტორიაზე, კერძოდ „ვაზოვანის“ ტყეში. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, ყვარლის გარშემო გაძლიერდა საგუშაგოები, — დაიწყო თხრობა ბატონმა დიტომ. დაისახა სამოქმედო ღონისძიებები, იმავე საღამოს, დაახლოებით ექვსის ნახევარზე ყაჩაღურად თავს დაესხნენ ყვარლის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარეს დავით მაძლარაშვილს. ხუთმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა მოითხოვა დიდი თანხა, თუ არ მოგვცემ, სახლ-კარს აგიფეთქებთო... მოკლედ, გაიტაცეს 30 ათასი მანეთი, ქურქი, ვიდეომაგნიტოფონი, ნივთები და თვითონ მასპინძელიც ტაქსით გაიყოლიეს. რამდენიმე საათში გამოუშვეს. როგორც მერე გაირკვა, ტაქსის მძღოლი მთელი ღამის განმავლობაში დაკავებული ჰყოლიათ ტყეში.

იმავე ღამეს ვიპოვეთ ტაქსი. გავაანალიზეთ მომხდარი შემთხვევა და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩადენილ ყაჩაღობასა და ტყეში დაბანაკებულ ბანდიტებს შორის აუცილებლად იყო გარკვეული კავშირი.

ვაცნობეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას. დაისახა ერთობლივი სამოქმედო ღონისძიებები. სულ მალე ყვარელში ჩამოვიდნენ ბატონები რომან გვენცაძე და თენგიზ კიტოვანი, შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების, „მხედრიონის“ წარმომადგენლები.

საკმაოდ საიმედოდ გადაიკეტა ტყის ყველა ბილიკი. ჯერ ერთი კაცი დავაკავეთ. ტყიდან გამოდიოდა. თავიდან ამბობდა, სოფელ კუჭატანში სტუმრად ვარ ჩამოსული და ტყეში მასპინძლის დაკარგულ ძროხას ვეძებთო. ცხადია, საეჭვო იყო. მალე აღიარა, რომ თბილისელი ვარო, ვახტანგ გოგსაძე. საბუთები არ აღმოაჩნდა. მერე გვიამბო, ვისთან ჩამოვიდა, რისთვის, რამდენი კაცი იყო ტყეში და ა. შ.

...ოპერაციაში ჩაერთო მძიმე ტექნიკა, ვერტმფრენები, ფეხზე დადგა ყვარლის რაიონის მთელი მოსახლეობა. სოფლელებმა ყველგან გადაკეტეს ტყიდან გამოსასვლელები. ამ შემთხვევამდეც, აფხაზეთში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო, რაიონის მოსახლეობა უკვე იცავდა მთებიდან გამომავალ ყველა ბილიკს და უღელტეხილს. ეს ხალხი აქაური მონადირეები არიან და დღედაღამ საგუშაგოებზე დგანან.

ბანდის გაუვნებლებაში დიდი წვლილი შეიტანა ოსმა და ხუნძმა მოსახლეობამ. ისინი დღესაც თავიანთ სოფლებს იცავენ. მარტო ოსი მოსახლეობის დახმარებით დაკავებულია ექვსი ბანდიტი.

ამ ოპერაციის განხორციელებაში ფასდაუდებელი ღვაწლი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მიუძღვის თავდაცვის სამინისტროს. მათ გარდა ბანდის გასაუვნებელ ოპერაციაში მონაწილეობდნენ კახეთის ყველა პოლიციის რაიგანყოფილების თანამშრომლები... დღეისათვის დაკავებულია ბანდის 14 წევრი. უმეტესობა თბილისელები არიან. აქედან ერთი, ვახტანგ გოგსაძე, გარდაიცვალა.

დაზუსტებული მონაცემებით ტყეში დღეისათვის დარჩენილია კიდევ შვიდი კაცი. ერთ-ერთია გივი იორამაშვილი, ყვარლის რაიონის პრეფექტის ყოფილი პირველი მოადგილე; მისი ბიძაშვილი ნუკრი იორამაშვილი, ომარ ღვინიაშვილი, ვინმე დავით ტალაშვილი. სამი პიროვნების ვინაობა ჯერჯერობით გაურკვეველია.

საიდან შემოვიდა ეს ბანდა ყვარლის რაიონში? აგვისტოს დასაწყისში სოფელ ახალსოფლის, ე. წ. „ღოლოიას“ მთაში დამჯდარა ვერტმფრენი, საიდანაც გადმოტვირთეს რამდენიმე ათეული ავტომატური იარაღი, ნაღმსატყორცნები და დიდძალი ტყვია-წამალი. როგორც შემდეგ გაირკვა, ვერტმფრენი ჩამოვიდა ბაქოდან, იარაღი კი მთიდან ყვარელში გივი იორამაშვილის ბიძაშვილის მანქანით გადმოუზიდიათ.

დაკავებულების ჩვენებიდან ირკვევა, რომ მათ უნდა განეხორციელებინათ ტერორისტული აქტები. დაზუსტებულიც კი ჰქონიათ, რომელი ობიექტი უნდა აეფეთქებინათ. თანამოაზრეებისთვის დასარიგებლად საკმაო იარაღი ჰქონდათ. ისინი თითქოს დარწმუნებული იყვნენ, რომ რაიონის მცხოვრებლებს გვერდში დაიყენებდნენ და შემდეგ ექსპრეზიდენტსაც ჩამოიყვანდნენ.

მოხდა პირიქით: მოსახლეობის რეაქცია ამ ფაქტის და ამ პირების მიმართ უკიდურესად საწინააღმდეგო აღმოჩნდა. ქალი და კაცი დაირაზმა ბანდიტების შესაპყრობად და შედეგიც ნათელია. მეტიც, მოსახლეობას თვითონ უნდოდა ამ ბანდის განადგურებაში მონაწილეობის მიღება. ყვარლის პოლიციის თანამშრომლები და აქაური მცხოვრებლები ამჟამადაც დღე-ღამის განმავლობაში პიკეტებზე არიან, აკონტროლებენ ყველა სოფლის გზებსა და ტყისპირებს. — დაასრულა ბატონმა დიტომ.

ახლა ყვარლის რაიონში აღმოჩენილი შეიარაღებული ბანდა პრაქტიკულად გაუვნებელყოფილია, თუმცა პოლიციის თანამშრომლები და მთელი მოსახლეობა ფხიზლად არიან. ვარაუდობენ, რომ ტყეში დარჩენილი შვიდი ბანდიტი რაიონის ტერიტორიაზე აღარ იმყოფება, თუმცა მათი ძებნა გრძელდება.

ჟურნალისტურ ინტუიციას თუ დაეჯერება, ვფიქრობ, ყვარლის რაიონში უფრო „დიდი მასშტაბის ბინძური ოპერაცია“ იყო დაგეგმილი, რაც, საბედნიეროდ, აქაური პოლიციის თანამშრომლების და მოსახლეობის აქტიურობის, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების, „მხედრიონის“ წარმომადგენლების პროფესიონალიზმისა და ოპერატიულობის წყალობით თავიდანაა აცილებული.

ბესო ჯინჭარაული.

◆

ნათქვამი იყო, რომ ყვარლის ტყეში დაახლოებით 100-კაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა მოიყარა თავი. მათი ვარაუდით, ვერტმფრენებიდან გადმოტვირთული იარაღის რაოდენობა ტყეში გასულთა რაოდენობის ტოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაირკვა, რომ იარაღი გაცილებით მეტი ყოფილა, ვიდრე ტყეში გასულნი იყვნენ...

აი, რა გვითხრა რუსთაველმა იმზარ კობაიძემ:

— ერთი თვის წინ ბაქოდან 12 კაცი ჩამოვედით ყვარელში. ჩვენ შორის იყვნენ ყვარლელები გივი იორამაშვილი და ომარ ღვინიაშვილი. მათი აზრით, მთელი ყვარელი ჩვენს მხარეს უნდა დამდგარიყო და საერთო ძალით თბილისზე უნდა გაგვლაშქრა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ მოსახლეობა მხარს არ გვიჭერდა და ტყიდან გამოსვლა დავაპირე, რაც არ დამცალდა.

...აი, ასეთი ზღაპრებით ასაზრდოებენ ერთმანეთს ჯგუფის წევრები და მათი სულის ჩამდგმელები. როგორც გაირკვა, შეიარაღებულთა რაოდენობა 20-31 კაცს არ აღემატება. ისინი ექსპრეზიდენტის მომხრეთა ძველი „გვარდიის“ წარმომადგენლები არიან. ყვარლის რაიონის პრეფექტის ყოფილი მოადგილე გივი იორამაშვილი დეკემბერ-იანვრის ამბების აქტიური მონაწილეა, ხშირად ჩადიოდა გროზნოში. მის დასახასიათებლად ალბათ ერთი შტრიხიც კმარა — იგი თავის დროზე ყვარლის რაიმილიციიდან სამსახურებრივი შეუფერებლობისათვის დაითხოვეს. პრეფექტის მოადგილედ ყოფნის დროს მას მხარში ედგა მისი ნათესავი ნუკრი იორამაშვილი — როგორც მძღოლი და თანამზრახველი. რაც შეეხება ომარ ღვინიაშვილს, რომელსაც „ქათმიპარიადაც“ მოიხსენიებენ, არჩევნების დროს არასასურველ კანდიდატთა წინააღმდეგ აღვირახსნილი გამოხდომების ორგანიზატორი და მონაწილე ყოფილა.

— ეს, რაც შეეხება ყვარლელებს.

საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა იოლად აღიდგინეს სხვა წევრთა „ნამსახურობის“ ნუსხაც. ასე, თბილისელი დურგალი ბადრი ოქროპირიძე ბუნკერის ამბების და ტელერადიოცენტრზე თავდასხმის აქტიური მონაწილეა. იგივე ითქმის ჯგუფის თითქმის ყველა წევრზე, რომელთაგან 14 უკვე დაპატიმრებულია. ამასთან ერთად სამალავიდან ამოღებულია დიდძალი იარაღი — ავტომატები, ნაღმსატყორცნები, ვაზნები... უნდა აღინიშნოს მოსახლეობის შემტევი მოქმედება. დარჩენილ 4-5 კაცსაც იქ დიდი ხნით ყოფნა არ უწერია. ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ უკანონო შეიარაღებულ ჯგუფებს შეეწყვიტათ უაზრო, ერის საზიანო მოქმედება. და თუ მათ რაიმე განსაკუთრებული დანაშაული არ ჩაუდენიათ, მიეცემათ მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება. ღმერთმა ქნას, ყველას, მათ შორის ყვარლის ტყეში მყოფთა ყურამდე და, რაც მთავარია, გულამდე მიაღწიოს ამ მოწოდებამ.

ზურაბ არსენიშვილი,

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში

როგორ აღვადგინოთ მართლწესრიგი

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ მოისმინა საგამოძიებო სამმართველოს უფროსის რ. ულენტის ინფორმაცია პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიების შეჩერების კანონიერებისა და საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ამ ბოლო წლებში რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში სამართალდამცველი ორგანოების უმოქმედობამ, საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურების საქმიანობის აშკარად დაბალმა დონემ, შესუსტებულმა საპროკურორო ზედამხედველობამ მნიშვნელოვნად განაპირობა კრიმინოგენული ვითარების გართულება და ხელი შეუწყო დამნაშავეთა მიმართ დაუსჯელობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

გაიზარდა გაუხსნელ დანაშაულობათა რიცხვი, ამ მოტივით და დამნაშავეთა ძებნის გამო შეჩერებულ საქმეთა რაოდენობა ბოლო ორი წლის განმავლობაში პროკურატურასა და შს ორგანოებში 14.939 ერთეულს მიაღწია (1990 წელს — 5574, 1991 წელს — 9365) და შარშანდელი წლის მიწურულისათვის დარჩენილ საქმეთა (29.368) თითქმის ნახევარი შეადგინა.

ანალოგიური მდგომარეობა შეიმჩნევა ამ მხრივ წლეულსაც. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემ პირთა და დამნაშავეთა ადგილსამყოფლის დაუდგენლობის მოტივით რესპუბლიკის საგამოძიებო და მოკვლევის ორგანოებმა შეაჩერეს 6.306 საქმის წარმოება, 2.347-ით მეტი, ვიდრე შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდში, აქედან 5.909 — გაუხსნელობისა და 397 — ძებნის გამო.

აღნიშნული მოტივებით შეჩერებულ საქმეთა რაოდენობა გაზრდილია როგორც პროკურატურების, ისე შინაგან საქმეთა ორგანოების საგამოძიებო ქვედანაყოფებში. განსაკუთრებით დიდია მათი რიცხვი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ჭიათურაში, გარდაბნის, ზუგდიდის, გორის, სამტრედიის, ხაშურის, კასპის, დმანისის და სიღნაღის რაიონებში და სატრანსპორტო მილიციის ორგანოებში.

წარმოებაშეჩერებულ საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგჯერ ასეთ გადაწყვეტილებათა მიღება ხდება ნაადრევად, ყველა საჭირო და აუცილებელ საგამოძიებო მოქმედებათა შესრულებისა და ამოწურვის გარეშე.

ოზურგეთის რაიონის შს საგამოძიებო ქვედანაყოფილებაში შესწავლილი 42 შეჩერებული საქმიდან 12 საქმეზე დათვალიერებული არ არის შემთხვევის ადგილი. ოთხ შემთხვევაში არ დაკითხულან დაზარალებულები, ამდენივე საქმეზე არ ჩატარებულა შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ მტკიცებულებებზე დაქტილოსკოპიური და ბალისტიკური ექსპერტიზები, ერთ საქმეზე საერთოდ არ დაკითხულა არავინ.

ანალოგიური დარღვევებია ქ. ჭიათურის ზონაში, წალკის, დუშეთის, ლაგოდეხის, ქ. თბილისის ჩუღურეთისა და ვაკის რაიონების შს საგამოძიებო ქვედანაყოფილებაში.

გამონაკლისი არ არის ფაქტები, როდესაც საქმეთა გაუხსნელობის მოტივით გამოძიების შეჩერება ხდება ვერსიების შემუშავების ან მათი სრულყოფილი შემოწმების, სახელმწიფო ქონების ქურდობით დატაცების ფაქტებზე მატერიალურ ფასეულობათა აღწერა-ინვენტარიზაციის, რევიზიების გარეშე, ხშირად საქმეებს არ ერთვის ექსპერტიზების დასკვნები. გამომძიებლები ყოველთვის არ იჩენენ დაინტერესებას გამოძიების საწყის სტადიაზე მოპოვებულ მტკიცებულებათა დამაგრებისა და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა ბოლომდე მხილებისათვის.

ისევე, როგორც წინა წლებში, მიმდინარე წელსაც შეჩერებულ საქმეთა უდიდესი უმრავლესობა მოდის ქონებრივ დანაშაულობებზე. შეჩერებულთა შორისაა სახელმწიფო ქონების ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის 359, მოქალაქეთა პირადი ქონების ასეთივე ხერხებით დატაცების 1.452 და ავტოტრანსპორტის გატაცების 356 საქმე. მნიშვნელოვანია აგრეთვე მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა ფაქტებზე აღძრული და შემდეგ გაუხსნელობისა და ძებნის მოტივით შეჩერებულ საქმეთა რაოდენობა (81).

ზოგჯერ ჩადენილ დანაშაულს სწორ კვალიფიკაციას არ აძლევენ და ამ გზით უფრო მძიმე დანაშაულს არ აღრიცხავენ. ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონში გამოვლინდა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებით მოქალაქეთა პირადი ქონების ყაჩაღობით დაუფლებისა და ავტომანქანის გატაცებით დაკვალიფიცირებული რამდენიმე დანაშაული, რაც ფაქტობრივად უნდა დაკვალიფიცირებულიყო როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

ანალოგიურად კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები იყო მიღებული ქ. თბილისის ვაკის, ლაგოდეხის რაიონებში.

შეჩერებულ საქმეთა სისტემატურ ზრდაზე გარკვეულად მოქმედებს არადამაკმაყოფილებელი ოპერატიული მუშაობა წინა წლებში ჩადენილ დანაშაულობათა გახსნისა და მიმალულ პირთა დაძებნა-დაკავების მიზნით.

საკმარისია ითქვას, რომ 1990 წელს გაიხსნა წინა წლების 192, ხოლო გასულ წელს — კიდევ უფრო ნაკლები — 82 დანაშაული. ამავე პერიოდში მიმალულ 3808 პირთაგან დაუძებნელია 1623.

აშკარად სუსტია და სათანადო დონეზე არ დგას საპროკურორო ზედამხედველობა საქმეთა შეჩერების კანონიერებაზე, რიგი ქალაქებისა და რაიონების პროკურორები ან საერთოდ არ სწავლობენ საქმეთა გამოძიების მიმდინარეობას ან სწავლობენ მას ზერელედ, არ ავლენენ დარღვევებს, რეაგირებას არ ახდენენ, არ აძლევენ გამომძიებლებს წერილობით მითითებებს და არ აკონტროლებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებას.

94 შეჩერებული საქმიდან ოზურგეთის რაიონის პროკურატურას არც ერთზე არა აქვს მიცემული წერილობითი მითითება. ასევე არ შესწავლილა 12 საქმის შეჩერების კანონიერება. მსგავსი მდგომარეობაა წალკის და დუშეთის რაიონებისა და თბილისის ვაკის რაიონის პროკურატურებში. უფრო მეტიც, ქ. ჭიათურის პროკურატურასა და შს საგამოძიებო ქვედანაყოფილების სტატისტიკურ ანგარიშებში შეჩერებულ საქმეთა შორის ნაჩვენებ საქმეებიდან 8 საქმეზე არ გამოტანილა დადგენილება გამოძიების შეჩერების შესახებ.

კოლეგიამ მიიღო კონკრეტული დადგენილება მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორების მიზნით.

კოლეგიამ ცნობად მიიღო, რომ საგამოძიებო სამმართველომ გააუქმა დასახელებული ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოებში მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, დარღვევებზე რეაგირების მიზნით წარდგინება გაეგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს.

რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ბრძანებით ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს, რომლებმაც დაუშვეს კანონის დარღვევები, დაედოთ მკაცრი დისციპლინური სასჯელები.

კოლეგიამ გადაწყვიტა, ცალკეულ რეგიონებში დანაშაულის გახსნის მდგომარეობის ღრმა ანალიზის შემდეგ ჩატარდეს ერთობლივი გამსვლელი კოლეგია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზონების მიხედვით ქალაქებში თბილისში და ქუთაისში.

კოლეგიის მუშაობა შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც გამოქვეყნებული არ არის საუბნო საარჩევნო კომისიების სიები, პარტიების მიერ საუბნო კომისიებში თითო წევრის დანიშვნის ვადის განსაზღვრის შესახებ

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც გამოქვეყნებული არ არის საუბნო საარჩევნო კომისიების სიები, პარტიების მიერ საუბნო კომისიებში თითო წევრის დანიშვნის ბოლო ვადად განისაზღვროს 12 სექტემბერი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ზესაშვილი.**

კომისიის მდივანი **ნუგზარ სხირტლაძე.**

ტექსტის სიზუსტისათვის

ჩვენი გაზეთის ა. სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებაში „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულებაში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და პარტიული სიების წარდგენისა და მათი რეგისტრაციის ვადების გაგრძელების შესახებ“ დაშვებულია უზუსტობები:

1. მე-40 მუხლის პირველი ნაწილით უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „...ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-8 კვირის ორშაბათს“.

2. ამავე მუხლის „დ“ პუნქტი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „ამავე ნაწილის მე-8 წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით“: (შემდგომ როგორც ტექსტშია).

3. 52-ე მუხლის 6^1 პუნქტი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებში ბიულეტენი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიცია

აზროვნების სიძნელე

ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ არ გვინდა ან არ შეგვიძლია დავინახოთ, გავიგოთ, რაც გასაგებია

თეიმურაზ შაშიაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი

ყველა პრობლემას შორის, რომლებიც საქართველოს წინაშე იდგა და დგას დღესაც, ცნობილ ფილოსოფოსს მერაბ მამარდაშვილს ერთ-ერთ უპირველესად აზროვნების სიძნელის პრობლემა მიაჩნდა. იგი თვლიდა, რომ აზროვნებისა და ცნობიერების გარყვნა და ნგრევა შიგნიდან მოდის, რომ ეს რაღაცნაირი სითხეა, რომელიც ანგრევს აზროვნებას, განსაკუთრებით სოციალური ან მოქალაქეობრივი აზროვნების შინაგან წყაროებს: იგი შეწუხებული იყო იმით, რომ ადამიანებს კარგად არ ესმით, ვერ წარმოუდგენიათ, რომ მათში ჯერ კიდევ მუშაობს აზროვნების დამანგრეველი ველი, რომელშიც თვით აზროვნების შესაძლებლობაა გარყვნილი, დანგრეული. მისი აზრით, ყოველ კონკრეტულ ადამიანში მოქმედებს ვიღაც სხვა, მისგან განსხვავებული, რომ ჩვენ ვიმყოფებით პოსტ-ტოტალიტარულ სიტუაციაში, გამოვდივართ გვირაბიდან და საშუალება გვეძლევა დავინახოთ ჩვენი საკუთარი თავი, რომ აქამდე ჩვენში ჩვენი საკუთარი თავი არ მოქმედებდა — ჩვენ ვიყავით მარიონეტი საკუთარი აზრებისა, რომლებიც ჩვენი აზრები არ ყოფილა. ანუ, პავლე მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხმა, რომელიც ჩვენი საკუთარი გვეგონა, თურმე ცოდვის ხმა ყოფილა ჩვენში.

ბატონმა მერაბმა 1990 წლის მიწურულს ფიზიკის ინსტიტუტში თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: „ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძნელია თქვენთან საუბარი. თქვენი კრიტერიუმები და მოთხოვნილებები, ალბათ, ძალიან მაღალია. მიჩვეული ხართ ზუსტ აზროვნებას, რასაც ვერ ვიტყვი ჩვენს საზოგადოებაზე, განსაკუთრებით იმაზე, მიტინგებსა და ქუჩებში რომ გამოითქმის“. აზროვნებაში იგი გულისხმობდა მხოლოდ ჩვენი სამოქალაქო ანბანის ელემენტს და არა აკადემიურ დისციპლინას, მისი ინტერესის საგანი იყო ის აზროვნება, რომელიც სოციალური სუბიექტის და მოქალაქის თავშია.

აზროვნების სიძნელის თემა ასე ჩამოაყალიბა ფილოსოფოსმა: „რაღაც არის ჩვენში ისეთი, რაც ხელს გვიშლის დავინახოთ. ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ არ გვინდა დავინახოთ: ან პარადოქსული ფორმით ვიტყვი: ვერ ვხედავთ, ან არ გვინდა დავინახოთ იმიტომ, რომ უკვე დავინახეთ, უკვე გავიგეთ და ამიტომ ველარასოდეს გავიგებთ იმას, რაც გასაგები იყო“.

მართლაც რა ზუსტად და ღრმად არის დანახული და ახსნილი ჩვენი დღევანდელი ყოფა, ჩვენი დღევანდელი საზოგადოება, ჩვენი ავადმყოფობა.

ის, ვინც საკუთარ თავში ჩაგვახედა, დიაგნოზი დაგვისვა, ავადმყოფობა დაგვისახელა და საკუთარი თავის შეცნობით, შინაგანი თავისუფლების მოპოვებით მისი მკურნალობის გზა გვასწავლა, იგი, ჩემი აზრით, გენიოსია, ის კი, ვინც ჩვენი მდგომარეობით, ჩვენი ავადმყოფობით სარგებლობს და ამით საკუთარი ბედნიერების აგებას ცდილობს, — მტარვალია.

ჩვენს თაობას ცოდვად ისიც გვეყოფა, რომ მსოფლიო მასშტაბის მოაზროვნე, მართლისმთქმელი და ჩვენი საზოგადო წყლულების საექიმოდ შემართული კაცი ვერ დავაფასეთ, გავრიყეთ, დავგმეთ, დავსაჯეთ, გესლით მოვაკვლევინეთ და ამით ბოროტებას გავუკაფეთ გზა. ვერ შევიცანით კაცი, რომელმაც სამყაროს ასხნით დაგვანახვა საკუთარი თავიც და სამშობლოც, მართლაც პლანეტარული აზროვნებით გვითხრა და წარმოგვიდგინა საქართველო და მისი ადგილი სამყაროში, სამაგიეროდ კი პატივი მივაგეთ კუთხურობას, კარჩაკეტილობას, პროვინციალიზმსა და პროვინციულ აგრესორებს.

ამ შეფასებას, დარწმუნებული ვარ, შეუერთდება ყველა, ვინც გულისხმიერად წაიკითხავს მერაბ მამარდაშვილის 1990 წელს წაკითხული ლექციების ციკლს „ფილოსოფიის საფუძვლები“, რომელიც წიგნად გამოიცა. ჩემი აზრით, ამ წიგნის გამოცემით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა და საქართველოს ასპირანტთა კავშირმა მართლაც დიდებული და საშური საქმე გააკეთეს.

არა მგონია, საქართველოში მიმდინარე პროცესებში ოდნავ მაინც ჩახედული კაცი არ ეთანხმებოდეს იმ შეფასებას, რომ ჩვენში აზროვნების სიძნელის პრობლემამ, აზროვნების დამანგრეველი ველის მოქმედებამ კრიზისულ ზღვარს მიაღწია, ღრღნის, ასუსტებს და აძაბუნებს საქართველოს ერთიან სხეულს.

აზროვნების სიძნელის შედეგია შინააშლილობაც, სისხლისღვრაც, შეტაკებებიც, კერპთაყვანისმცემლობაც, კერპად ქცეულის ყველა მოქმედებისთვის გამართლების მოძებნაც, სიკეთის არ თუ ვერ დანახვაც, სიკეთისთვის ბოროტების დარქმევაც, ან პირიქით, პოლიტიკაში გაუცნობიერებელ პირთა, განსაკუთრებით ასაკოვან ქალთა მოზღვავებაც... აზროვნების სიძნელის შედეგია ის ჯანყიც, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება მოუცავს, ის, რომ მსოფლიოს მასშტაბის არაერთი ქართველი მეცნიერის, ხელოვნის, საზოგადო მოღვაწის აზრსა და პოზიციას არად ვაგდებთ და გაუნათლებელ თვითმარქვია პოლიტიკოსთა და კარიერისტთაგან კუთხური გმირები და ბელადები შევქმენით.

პირადად მე აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს აზროვნების სიძნელის პრობლემით გამოწვეულ ომს ვუწოდებდი. სწორედ აფხაზეთია დღეს აზროვნების დამანგრეველი ველის კონკრეტული გამოვლენის გეოგრაფიული ადგილი. თვით ეს ველი კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში და, ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ რეაქციულ, ანტიდემოკრატიულ, ვაიპოლიტიკურ, რელიგიურ, ტერორისტულ ძალთა ერთობლივი მოქმედებით იქმნება.

სწორედ ამიტომ უდიდეს შეცდომად მიმაჩნია საუბარი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე. ეს ნიღბავს რეალურ სინამდვილეს, ასეთი ცნება ავადმყოფი აზროვნების გამოგონილია და ის, ვინც ამას ეთანხმება, სერიოზულად დგას აზროვნების სიძნელის პრობლემის წინაშე.

ჩემი აზრით, ძალიან გულუბრყვილო, ან წინასაარჩევნო კამპანიით გზააბნეული და გაბრუებული სპეკულანტი პოლიტიკოსი უნდა იყოს, რომ ცრემლმორეულმა ილაპარაკოს ჰუმანიზმზე, ადამიანის უფლებების დარღვევაზე, პატარა ერებისადმი დამოკიდებულებაზე, და ვერ დაინახოს ის სცენარი, რომლის მიხედვითაც მოქმედებს აფხაზ (და არა მარტო აფხაზ) ხელმძღვანელთა დიდი ჯგუფი, ვერ გააცნობიეროს, რომ ქართველთა და აფხაზთა წინააღმდეგობა გარეშე ძალის დაგეგმილია და მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, თვით ქართველებისა და აფხაზების წინააღმდეგ, რომ პრაქტიკულად დაწყებულია ქართველთა და აფხაზთა გენოციდი; გული არ დაგწყდეს იმაზე, რომ ბელადომანიით შეპყრობილ ვაი-პოლიტიკოსთაგან, ერთი შეხედვით, „დიდი მიზნებითა“ და „მაღალი ეროვნული სულისკვეთებით“ ალგზნებული აფხაზთა ერთი ნაწილი ებრძვის თავის ძმებს, სისხლით და ხორცით მონათესავე ქართველ ხალხს და იმავდროულად საკუთარ ხალხსაც გენოციდს უწყობს.

— **ვისაც ჰგონია**, თითქოს რკინიგზაზე დივერსიული ჯგუფების მომრავლება, აფხაზური (და არა აფხაზეთის) გვარდიის შექმნა, საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ჯარის კანონიერი გადაადგილების დროს მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, წინასწარ არ იყო დაგეგმილი და ყოველივე ამის უკან სერიოზული სამხედრო ძალა არ იდგა და არ დგას დღესაც,

— **ვისაც ჰგონია**, რომ ე. წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციის მხოლოდ აფხაზი ხალხის ინტერესების დაცვა აწუხებს და მისი მოქმედება საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული საერთო პროგრამის, საქართველოს „მოთვინიერების“ და მასზე ზეგავლენის გაძლიერების შემადგენელი ნაწილი არ არის,

— **ვისაც სჯერა**, რომ ადიღეელები, ყაბარდოელები, ჩეჩნები და მთიელ ხალხთა სხვა წარმომადგენლები შემთხვევით მოხვდნენ ან მხოლოდ შეტაკების შემდეგ ჩამოვიდნენ საქართველოში,

— **ვისაც მართლა ჰგონია**, რომ აფხაზეთს, აფხაზ ხალხს ე. წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციაში შემავალი ქვეყნები დაიცავენ, ქართველები კი მათ გენოციდს უწყობენ,

— **ვინც დარწმუნებულია**, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლა ავტომატურად ნიშნავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, რომ ეს მთლიანობა გარანტირებულია საერთაშორისო სამართლით და ამისთვის ბრძოლა, სისხლისღვრა და მსხვერპლის გაღება არ ღირს,

იგი ან მოსწყდა რეალობას, ან არჩევნებისწინა თამაშს თამაშობს და ამით ებრძვის დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკას. სწორედ ეს არის აზროვნების სიძნელე, ანუ ის, რომ ზოგიერთს არ სურს დაინახოს სიმართლე, რადგან იგი უკვე დაინახა და მიხვდა, რომ მას იგი ხელს არ აძლევს.

პირდაპირ ვიტყვით: ორი წელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რეალურად დგას ეჭვქვეშ. საქართველოს პრაქტიკულად მოსწყდა ჯერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, შემდგომ კი აფხაზეთი. ვიცით, რომ ასეა, მაგრამ გარკვეულ ძალებს, რაკი ეს ხელს არ აძლევდათ, არც ამის დანახვა და აღიარება სურდათ.

აფხაზეთში აღდგენილია 1925 წლის კონსტიტუცია, რომლის პირველი მუხლი ასე იწყება: „დაამხო რა საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთში...“; მიღებულია დამოუკიდებლობის აქტი; ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალურ ხელისუფალთა უმრავლესობა არ ცნობს საქართველოს კონსტიტუციას, კანონებს, ხელისუფლების გადაწყვეტილებებს, იღებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, რომელთა მოქმედება გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გააუქმეს ან შეაჩერეს ყოფილმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ და შემდეგ სახელმწიფო საბჭომ; ავტონომიური რესპუბლიკა სრულიად დამოუკიდებელ საგარეო და საშინაო პოლიტიკას ადგას; წელიწადზე მეტია, სოხუმში შეიქმნა ე. წ. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია, აფხაზეთი მისი წევრია, სოხუმი — დედაქალაქი. შექმნილია ეროვნული საჯარისო ფორმირებები, იცავენ საზღვრებს, ქმნიან საბაჟოს და თავიანთ ტერიტორიაზე არ ატარებენ შენ კუთვნილ ტვირთს; წინააღმდეგობას გიწევენ თავიანთ ტერიტორიაზე ორგანიზებულ გადაადგილებაში; ხელმძღვანელობა უარს აცხადებს თბილისში ჩამოსვლაზე, ახორციელებს სრულიად დამოუკიდებელ და ამავე დროს საქართველოსათვის მიუღებელ საკადრო პოლიტიკას. ასეთია რეალობა და, საკითხავია, სხვას რას ჰქვია დამოუკიდებლობა?

ჩვენ თვითონ ხომ 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ვთვლიდით, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად შევდიოდით სსრკ-ის შემადგენლობაში, საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარი იდგა და აქტიურადაც მოქმედებდა ჩვენს წინააღმდეგ. აფხაზეთში კი არც ერთი ქართული სამხედრო ნაწილი არ იყო, დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს და საქართველოს ყოფილ ხელისუფალთა ხელშეწყობით აპარტეიდული საარჩევნო კანონის შედეგად იურიდიულადაც დააკანონეს აფხაზთა უპირატესობა, რითაც არსებითად შეილახა ქართველთა უფლებები, გზა გაეხსნა დისკრიმინაციულ პოლიტიკას. და ეს — ვითომ არაფერი, თითქოს ეს არ ნიშნავდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

უეჭველია, რომ რკინიგზის ბლოკადით, ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზ ხელმძღვანელთა მხრივ ტერორისტთა გააქტიურების პოლიტიკით ჩაფიქრებული იყო საქართველოს ეკონომიკური დასუსტება და აფხაზეთის გაძლიერება, რასაც შედეგად მოჰყვებოდა საქართველოში შინააშლილობის შემდგომი გაძლიერება, რაც ხელისუფლებას აიძულებდა გამოეყენებინა ჯარი რკინიგზაზე მდგომარეობის მოსაგვარებლად, ამას კი წინ აღუდგებოდა უკანონოდ შექმნილი აფხაზური გვარდია.

დარწმუნებული ვარ, პირველი შეტაკების შემდეგ საქართველოს ჯარი რომ გაჩერებულიყო, ეს აღიქმებოდა როგორც აფხაზეთის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა, რასაც საქართველოში დიდი მღელვარება, მერე კი უფრო დიდი და ხანგრძლივი ომი მოჰყვებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად თუ შესანარჩუნებლად. იმათ კი, ვინც აცხადებს, საქართველოს მთლიანობა საერთაშორისო სამართლით არის გარანტირებული, ვთხოვდი გაეხსენებინათ იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის მაგალითები. მათი მთლიანობაც იყო „გარანტირებული“, მაგრამ... საერთაშორისო სამართალი აქტიურად იცავს მხოლოდ იმ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომელსაც მოდავედ სხვა სახელმწიფო ჰყავს. ქვეყნის შიგნით ეს საკითხი თვით სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს გარედან ჩაურევლად.

მოდით, დავაკონკრეტოთ: ჩვენ ვინმეს ვებრძვით, თუ საკუთარ სახელმწიფოს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს ვიცავთ?

ჩვენ საკუთარ მამულსა და საქართველოში მცხოვრები ყველა ერის, მათ შორის აფხაზების, ინტერესებს ვიცავთ და, სამწუხაროდ, იმავდროულად ეს ვიღაცის წინააღმდეგ ბრძოლასაც ნიშნავს. ძალიან უნდათ „ვიღაცის“ როლში აფხაზი ხალხი წარმოადგინონ. ბევრს ხელს აძლევს და უნდა კიდეც, რომ ეს იყოს ბრძოლა აფხაზი ხალხის წინააღმდეგ, სინამდვილეში კი ეს არის ბრძოლა ყოფილი სსრკ დეპუტატთა ბლოკის „სოიუზის“ და ჟირინოვსკის პარტიის ფაშისტური იდეოლოგიით მომართულ სამხედრო მანქანასთან, რომელიც ამ ეტაპზე რეალურად აერთიანებს და კოორდინაციას უწევს რეაქციული და ანტიდემოკრატიული ძალების მოქმედებას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ყარაბაღი, დნესტრისპირეთი, ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთი — ტოტალური ომის რუკაა — ერთი მიზნით, პროგრამითა და სცენარით. მხოლოდ შესრულებაა სხვადასხვაგვარი. ამ რუკაზე ჩემი აზრით, კიდევ არაერთი ცხელი წერტილი გაჩნდება მალე.

და მაინც მგონია, რომ აფხაზეთი განსაკუთრებულია, რადგან აქ დაემთხვა ერთმანეთს რამდენიმე, ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ძალთა ინტერესები:

— **აფხაზი მოსახლეობის დიდი ნაწილისა:** სწორედ აზროვნების სიძნელის გამო მათ ჰგონიათ, თითქოს მათი ბედნიერება საქართველოსგან დამოუკიდებლობაში იყოს;

— **აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისა:** მათი აზრით, გაცილებით უკეთ მიაღწევენ თავიანთ მიზნებს საქართველოსგან დამოუკიდებლად. ეს გარკვეულწილად წარსულში ჩვენი მცდარი პოლიტიკის შედეგიც არის, როცა ხელისუფლება საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მიმართ გარკვეულ აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებდა;

— **ყოფილი ხელისუფლების და მათი მომხრეებისა:** მათ ხელს არ აძლევთ არჩევნები. ამისთვის ყოველგვარი მსხვერპლი გამართლებულია. სამაგიეროდ ხელს აძლევთ შინააშლილობის გაღრმავება, განსაკუთრებით სოციალურ ნიადაგზე, ომს კი ნებისმიერი სახელმწიფო სოციალური დაძაბულობისკენ მიჰყავს;

— **ე. წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციაში შემავალი ქვეყნებისა:** აფხაზეთი მათთვის ზღვაზე გასასვლელის მოპოვების დიდი ხნის ოცნების აღსრულებაა, საბოლოოდ კი კავკასიაში მთიელთა დიქტატზე დამყარებული დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს შექმნაა. შემდგომში ეს შეიძლება გადაიქცეს წინააღმდეგობად რელიგიურ ნიადაგზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გიწვევთ ირანის გამოფენა-გაყიდვაზე!

თბილისში, სპორტის სასახლეში გაიხსნა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დამზადებული სხვადასხვა სახეობის პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. მისი ინიციატორები არიან საქართველოს სავაჭრო პალატისა და მასთან არსებული ფირმა „თბილსაგარეომომსახურების“ სპეციალისტები. ამგვარი გამოფენის მოწყობა ჯერ კიდევ სამი თვის წინათ დაიგეგმა.

მნახველები ინტერესით ეცნობიან და ვალუტაზე ყიდულობენ მათთვის საჭირო ნაწარმს, ფართო მომსახურების საგნებს: ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საბავშვო ასორტიმენტსა თუ კვების მრეწველობის ნაწარმს, საშენ მასალებსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს. თვალს ხიბლავს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დამზადებული ჰურჯინი, ნაირფერი ხალიჩები, მამაკაცის კოსტიუმები, თანამედროვე ტიპის ქალის ზედა ტანსაცმელი, ჩანთები და სხვა.

გამოფენა-გაყიდვა 15 სექტემბრამდე გასტანს.

ერთი თვის შემდეგ საქართველოში დამზადებული ასეთივე ტიპის პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა ირანში გაიმართება.

სურათებზე: გამოფენის გახსნა და მისი ექსპონატები.

სიმონ კილაძის ფოტო. (ფოტოსააგენტო „დრო“).

დავუბრუნოთ კანონიერ მფლობელს!

საბერძნეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატონ კოსტას მიცოტაკისს

დიდად პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

მოგეხსენებათ, რომ იერუსალიმში ფუნქციონირებს ჯვრის მონასტერი, რომელიც დააფუძნა და ააშენა პირველმა ქართველმა ქრისტიანმა მეფემ წმინდა მირიანმა. მონასტერი საქართველოს საზღვარგარეთა სულიერი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო. აქ იღვწოდა ბევრი ქართველი მეცნიერი და რელიგიური, კულტურული მოღვაწე, მათ შორის დიდი მოაზროვნე შოთა რუსთაველი. აქ შეიქმნა სწორუპოვარი ნაწარმოებები, რომელთაგან ზოგიერთი იერუსალიმის ბიბლიოთეკაშიც ინახება.

მონასტერს არაერთგზის დასხმიან თავს, მრავალჯერ დაუნგრევიათ კიდეც. იგი სხვის ხელშიც გადასულა, მაგრამ სამღვდელოების წარმომადგენელთა, ქართველ მეფეთა ძალისხმევით მონასტერი უკან დაუბრუნებიათ და უდიდესი მატერიალური დანახარჯის ფასად მრავალგზის აღუდგენიათ.

XVIII საუკუნემდე ჯვრის მონასტერი საქართველოს ეკუთვნოდა. ამას მოწმობს მრავალი ქართული, ბერძნული თუ უცხოური წყარო და დოკუმენტი. მაგრამ საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის გართულების შედეგად მონასტერი საქართველოს ამჟამად აღარ ეკუთვნის და იერუსალიმის საპატრიარქოს ექვემდებარება.

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

მოგმართავთ საქართველოს 100-ათასიანი ბერძენი მოსახლეობის სახელით და გთხოვთ ხელშეწყობას, რათა ქართულ ეკლესიას დაუბრუნდეს ზემოაღნიშნული ჯვრის მონასტერი.

ამასთანავე გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი:

— ბერძენ-ქართველთა ურთიერთობის ისტორია ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს და 26 საუკუნეს ითვლის;

— საქართველოში ამჟამად მცხოვრები ბერძნები შთამომავალნი არიან წინათ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძნებისა, რომლებიც იქ რელიგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ჩაგვრას და ყოველგვარ დამცირებას და შეურაცხყოფას განიცდიდნენ;

— XIX საუკუნეში ერთმორწმუნე ქართველებმა დახმარების ხელი გამოუწოდეს თურქეთიდან დევნილ ბერძნებს და თავიანთ მიწა-წყალზე შეიფარეს;

— განვლილი 160 წლის მანძილზე ქართული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების სასიკეთო გავლენის, ყურადღებიანი დამოკიდებულების მეოხებით საქართველოში მცხოვრებმა ბერძნებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ბევრი ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემის არსებობის პირობებში ბერძნები მატერიალურად უზრუნველყოფილნი, სოციალურად დაცულნი და მოწყობილნი არიან. გაიზარდა ეროვნული კადრები: გვყავნან ჩვენი მეცნიერები, მხატვრები, მსახიობები, სპორტსმენები, გვაქვს სულიერი კულტურის ობიექტები.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ქართველი ხალხი მხარს უჭერენ რესპუბლიკის ბერძენი მოსახლეობის მისწრაფებას ეროვნული კულტურისა და დედაენის შენარჩუნებისა და განვითარებისადმი, მათ განზრახული აქვთ კვლავაც შეუწყონ ხელი თანამემამულე ბერძნებს ეკლესიების აღდგენასა და მშენებლობაში, იმ კლასებისა და სკოლების რაოდენობის ზრდაში, სადაც სწავლება ბერძნულ ენაზე წარმოებს, ბერძნული ეროვნული კულტურის სხვა კერების დაფუძნებაში საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ბერძნები.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, დარწმუნებული ვართ, თქვენი კეთილშობილი ჟესტი ჯვრის მონასტრის ქართული ეკლესიისათვის გადმოსაცემად დახმარების საქმეში დიდად შეუწყობს ხელს ბერძენი და ქართველი ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, პლანეტის ორი უძველესი ერის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სულიერი ურთიერთობის სრულყოფას. და, რასაც არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს, საქართველოში მცხოვრებ ბერძნებს კიდევ უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდებიან რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ქართველი ხალხი და ქართული ეკლესია.

ჩვენ, საქართველოში მცხოვრებ ბერძნებს, იმედი გვაქვს, რომ დადებითად გადაწყვეტთ ჯვრის მონასტრის მისი კანონიერი მფლობელის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის გადმოცემის საკითხს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენდამი უდიდესი პატივისცემით

კირიაკოს იორდანიდისი,
საქართველოს ბერძენთა სათვისტომოების ფედერაციის თავმჯდომარე

არისტოტელის კელესიდისი,
საქართველოს ბერძენთა სათვისტომოების ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი

დიმიტროს ჩიტლიდისი,
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი

P. S. ანალოგიური შუამდგომლობა გაეგზავნათ:

საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს კონსტანტინე ყარამანლისს;

— უნეტარეს სერაფიმეს — ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსს;

— უნეტარეს დიოდოროსს — წმინდისა ქალაქის იერუსალიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქს;

— ყოვლად უწმინდეს ბართლომეს — კონსტანტინეპოლის მთავარ ეპისკოპოსს და მსოფლიო პატრიარქს;

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გაეროს როლი უნდა გაძლიერდეს

შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრის მარგარეტა აფ უგლასის აზრით, აუცილებელია გაძლიერდეს გაეროს როლი პლანეტაზე კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების თავიდან ასაცილებლად, პრევენტიული დიპლომატიის მეთოდების განვითარებით. მას მიაჩნია, რომ ყოფილ იუგოსლავიასა ან სომალიში გაეროს უფრო ადრე ჩარევა შემაკავებელი ფაქტორი იქნებოდა და სამოქალაქო ომის შედეგებიც — არც ესოდენ საშინელი. აუცილებელია გაეროს უშიშროების საბჭოს გაძლიერება, თქვა მან. მხოლოდ ეფექტიანი უშიშროების საბჭო შეძლებს გაუმკლავდეს ეთნიკურ და რეგიონულ კონფლიქტებს. ამასთან დაკავშირებით, მინისტრმა აღნიშნა, რომ კონფლიქტების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს გაეროს მოქმედების კოორდინაციას. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირთან და აგრეთვე მშვიდობის შეთანხმების მექანიზმებთან, რომლებიც გააჩნიათ ნატოს, ევროპის გაერთიანებას, დასავლეთ ევროპის კავშირსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას. კონფლიქტების გადაწყვეტისას საჭირო იქნება თვით უშიშროების ცნების უფრო ფართო გაგება, რომელმაც უნდა მოიცვას არა მარტო სამხედრო ასპექტი, არამედ ადამიანის უფლებები, დემოკრატია, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა, ეკოლოგიური პასუხისმგებლობა.

საკუთარ სახლში ჩამოახრჩეს პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი

ვარშავაში საკუთარ სახლში მხეცურად გაუსწორდნენ პოლონეთის სახელმწიფოს ყოფილ მეთაურს, 88 წლის პეტრე იაროშევიჩს, რომლის დასახიჩრებული გვამი ყელში წაჭერილი მარყუჟით აღმოაჩინა მისმა შვილმა სამშაბათს ღამით. იმავე სართულზე აბაზანაში ნახეს იაროშევიჩის მეუღლე ალიცია სოლსკაია, გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს“ ჟურნალისტი, რომელსაც თავში ტყვია ჰქონდა დახლილი. დაიწყო გამოძიება.

ამერიკა პასიურობას იჩენს

შეერთებული შტატები გაუმართლებელ სიფრთხილესა და პასიურობას იჩენს ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარებისას. ეს ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესთან არსებული მთავარი საანგარიშო სამმართველოს გამოქვეყნებულ მოხსენებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც დიპლომატიური წარმომადგენლობანი აქვს ყოფილი სსრ კავშირის 15-ვე რესპუბლიკაში, ამჟამად სავაჭრო მისიები არსებობს მხოლოდ რუსეთსა და უკრაინაში.

კომერციული შესაძლებლობანი ყოფილი სსრ კავშირის თითოეულ რესპუბლიკაში არის. იმისათვის, რომ ამერიკის ბიზნესი მყარად დამკვიდრდეს ამ ბაზრებში, საჭიროა შესაბამისი მხარდაჭერა ამერიკის მთავრობის მხრივ. ჩვენ უნდა გამოვნახოთ საშუალებანი და ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ყოფილი სსრ კავშირის თითოეულ დამოუკიდებელ ქვეყანაში იმყოფებოდეს შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენელი. ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრო და სახელმწიფო დეპარტამენტი ამჟამად სწავლობენ ამ სიტუაციას. არსებობს გაგება, რომ საჭიროა შეიქმნას სავაჭრო წარმომადგენლობანი. ერთადერთი, რაც აფერხებს ამ პროცესს, სახსრების უქონლობაა.

თითო აბზაცით

⊙ **ბოსნია-ჰერცეგოვინაში** შექმნილი ვითარება განიხილეს იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე რომში. შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იმ იმედების მიუხედავად, რომლებსაც ლონდონის კონფერენციაზე ამყარებდნენ, ძალადობა გრძელდება.

⊙ **ისრაელის** მთავრობის მეთაურმა იცხაკ რაბინმა განაცხადა, რომ თუ სირია წინააღმდეგია საზავო ხელშეკრულების დადებისა, ისრაელი მზად არის ხელი მოაწეროს მასთან დროებით შეთანხმებას.

⊙ **ფრანგული** გაზეთის „ფიგაროს“ ცნობით, ავღანეთის თავდაცვის მინისტრმა აჰმედ შაჰ მასუდმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანს გულბედინ ჰექმათიარის „ავღანეთის ისლამური პარტია“ და მისი მომხრეები შეეცდებიან კვლავ მიიტანონ იერიში ქაბულზე და ახლა ისინი აძლიერებენ თავიანთ პოზიციებს და ავსებენ მარაგს.

⊙ **მინიმუმ** ერთი კაცი დაიღუპა, ათობით დაშავდა სამხრეთ ირანში ძლიერი მიწისძვრის შედეგად. როგორც სააგენტო ირნა იუწყება, რიხტერის სკალით 5,5 ბალამდე ძალის მიწისქვეშა ბიძგები იყო ფარსის პროვინციაში. დაინგრა მრავალი საცხოვრებელი სახლი, დაზიანდა კომუნიკაციები.

რეპორტაჟი აფხაზეთიდან

2. ეს იყო ომი

ჩვენი ტკივილი

სოხუმში ნგრევა არ არის. თუ მშვიდობა იქნა, ორი-სამი კვირის შემდეგ ვერავინ იფიქრებს — აქ ომი იყო. მხოლოდ სასტუმრო „რიწას“ ეტყობა თანამედროვე იარაღის მოქმედების კვალი. ეს შენობა მაშინ დაზიანდა, როცა მის სახურავზე, ზედა სართულებზე ჩასაფრებული სნაიპერები ხელს უშლიდნენ დამსვენებლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციას. და ქართველმა მეომრებმა ჯერ ჰაერში ისროლეს, შემდეგ იძულებულნი გახდნენ იერიში მიეტანათ.

ჩვენს მკითხველს მოეხსენება, რომ დიდი ბრძოლები იყო წითელი და თეთრი ხიდების რაიონებში. საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა მოწინააღმდეგეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ცოცხალი ძალა, ტექნიკა. მიუხედავად ამისა, ეს რაიონიც გადაურჩა ნგრევას. ასეთი ომის შემდეგ, ალაგ-ალაგ ჩამტვრეული სარკმლები, აყრილი ასფალტი, მორყეული ჭიშკრები და მოაჯირები, ხეთა შეტრუსული ფოთლები, ალბათ, სათვალავშიც არ არის ჩასაგდები.

დიდი შეტაკებები იყო თამარის, ყოფილი ჰანბას ქუჩის მთელ სიგრძეზე. აქ იდგა ჯარი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქუჩაზე უმეტესად ქართველები ცხოვრობენ. მათ მხრებზე გადავიდა 1989 წლის ივლისის მოვლენების მთელი სიმძიმეც. ეს რაიონიც გადაურჩა ნგრევას.

ქუჩებში სამხედროების პიკეტებია. თითქმის ყველა გამვლელს აჩერებენ, ვინაობას ამოწმებენ, ყველაფერია მოსალოდნელი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

დილით ადამიანები, ჩვეულებრივად, გამოდიან სახლებიდან. ყოველდღიური საზრუნავი და მომავალი აიძულებთ ომის გარდა, სხვა რამეზეც იფიქრონ. ძველებურად უკრავენ თავს ერთმანეთს, ესალმებიან... დროა, სიკეთის ბოროტებაზე, სიყვარულის სიძულვილზე გამარჯვებისა!.. დროა!..

ქალაქში ბევრი წარმოება-დაწესებულება ამუშავდა. ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები, ნაწილობრივ, — აფხაზებიც გამოვიდნენ სამუშაოზე.

ამ დღეებში შეღავათიან ფასად — 45 მანეთად გაიყიდა შაქარი, სხვა სასურსათო პროდუქტები. პური ჭირს, დიდი რიგები დგება. გასტრონომების უმრავლესობა გაძარცულია, გამყიდველებსაც ეშინიათ ჯერ სამუშაოზე დაბრუნება.

იღიმიან ვარდისფერი და თეთრი ოლეანდრები.

თვალი შეურთავს „ადესას“.

გუმისთის ხეობაში მალიმალ ავარდება ცეცხლი, კვამლი და კვლავ ისმის სროლის ხმა...

* * *

მოსახლეობის დამოკიდებულება ამ ომის მიმართ სხვადასხვაგვარია. ქართველთა ნაწილი მოხალისეებად წავიდა, ნაწილმა კი სახლში დარჩენა ან გახიზვნა ამჯობინა. ჩვენ ბევრ მათგანთან ვისაუბრეთ. გაგვაოცა ზოგიერთის ინდიფერენტულობამ, გულგრილობამ, დემორალიზებულნი ჩანდნენ. ისინი, ძირითადად, წუხდნენ იმაზე, რომ მშვიდობიანი ცხოვრება დაერღვათ, გუშინდელი კარგი მეზობლები დღეს მტრებად ექცნენ ერთმანეთს. როგორ იცხოვრებენ ხვალ ერთად? შეუნდობენ თუ არა ერთმანეთს ცოდვებს? ესეც, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი პრობლემებია. სოხუმის ქართველობის ერთი ნაწილის ასეთმა პოზიციამ გააღიზიანა ჩვენი არმიის ცალკეული მებრძოლები. — ისე იქცევიან, თითქოს ეს ომი მხოლოდ ჩვენ გვჭირდებოდეს, მათ კი არ უხებათო, — ამბობდნენ ისინი. ისიც იყო, რომ ზოგიერთმა მოხალისემ ჩაიგდო თუ არა ხელში იარაღი, ფრონტის წინა ხაზიდან გამოიქცა, მაროდიორობა დაიწყო და მეზობლების ძარცვა-გლეჯით გამოიჩინა თავი. სამწუხაროდ, ასეც იყო. — ორასი ავტომატი დავურიგეთ სოხუმელებს, მაგრამ მეორე დღეს ვერავინ ვნახეთო, — გულისტკივილით გვითხრეს გვარდიის შტაბში. თუმცა, ეს ყველაზე არ ითქმის. თითო კოჭლი ყველა ფარას გამოერევაო, ნათქვამია. ბევრი სოხუმელი ნამდვილი გმირივით იბრძოდა. ეშერას ტყეში ერთ-ერთი ბრძოლის დროს, მათ მტერს დაატოვებინეს მანქანაზე დამონტაჟებული საზენიტო მოწყობილობა, 10 ათასი ვაზნა, ბევრი ავტომატი და სხვა იარაღი.

ნუ დაგვძრახავთ, 20-25 წლის განმავლობაში აფხაზეთის ქართველები დისკრიმინირებული ვიყავით. ყველა ხელმძღვანელი პოსტი მათ ეკავათ. ქართულად ლაპარაკს გვიკრძალავდნენ, ამ ბოლო დროს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვორონოვი დღედაღამ ტელევიზიით გვიმტკიცებდა, მეგრელები და სვანები, მეგრელები და სვანები ხართ (და არა ქართველებიო.

გვესაუბრება საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი **სოსო დარახველიძე:**

— მე ვფიქრობ, რომ აფხაზური პრობლემის პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრის ყველა გზა მოჭრილი იყო. დიალოგი შეიძლება გაიმართოს მხოლოდ მაშინ, როცა ორივე მხარეს აქვს ამის სურვილი. ასეთი სურვილი არ ჰქონდა იმ ხალხს, ვისაც ძალაუფლების კვერთხი ეპყრა. აფხაზურ ფრაქციაშიც იყვნენ ნორმალურად, პროგრესულად მოაზროვნენი, მაგრამ არძინბა და „კომპანია“ არად აგდებდნენ მათ წინადადებებს. ბევრჯერ ყოფილა ასეთი სიტუაცია: იმართებოდა დიალოგები, რაღაც პოზიციურ მოლაპარაკებაზე მიდიოდნენ. ამ დროს საკმარისი იყო, არძინბა გადაფრენილიყო მოსკოვში, ვიღაცას დაკითხებოდა ჭკუას, ვიღაცა რაღაცას ურჩევდა, უკარნახებდა, და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

არძინბას ყოყოჩობა ძირითადად, „28-26“-ის ანტიკონსტიტუციურმა სისტემამ განაპირობა, ბევრჯერ ვესაუბრეთ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს ამის შესახებ, ვეკამათეთ, მაგრამ არავინ არაფერი დაიჯერა. ხალხს უმტკიცებდნენ, რომ ამ ეტაპზე სხვანაირად არ შეიძლებაო. დღეს ირკვევა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, თბილისში ჩავიდა არძინბა, ყველასაგან უჩუმრად, არაერთხელ ესტუმრა სოხუმს ყოფილი პრეზიდენტი.

მე ვთვლი, რომ აფხაზეთის ავტონომიის შენარჩუნება აუცილებელია. ოღონდ ჯარი ერთიანი უნდა იყოს, საქართველოს რესპუბლიკის კანონი — უზენაესი, უნდა ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები.

დაახლოებით მსგავსი აზრი გამოთქვა ბატონმა **ოთარ გაბარიამ**, თუმცა დაამატა კიდეც: რამდენიმე დღეში ყველაფერი წესრიგში იქნება. ისევ ერთად უნდა ვიცხოვროთ, მეგობრობა განვამტკიცოთ. მოვიარე აფხაზური ოჯახები, ზოგს საჭმელი მივუტანე, ზოგს... ჩვენს ქუჩაზე ბევრი აფხაზი ცხოვრობს, უმრავლესობა გახიზნულია. ერთი აფხაზური ფრაქციის დეპუტატი არსად არ წავიდა. ვხვდებით ერთმანეთს, ვსაუბრობთ... ბატონი ოთარი ქალაქის სურსათით მომარაგებაში მუშაობს. — საწყობებში არის პროდუქტები, მაგრამ ჯერჯერობით გასაყიდად გამოტანა ჭირსო, — ბრძანა მან.

ცნობილია, მდიდარ სომეხთა დიდი ნაწილი აფხაზ შეთქმულებს მიემხრო. „კრუნკის“ ლიდერი ტოპოლიანი, სატუროვი... კიდევ მრავალი სხვა.

(დასასრული მე-4 გვ.)

გამოსათხოვარი

მაყვალა მრევლიშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბავშვო პოეტი ქალი **მაყვალა ალექსანდრეს ასული მრევლიშვილი.**

ქართველმა ბავშვებმა დაკარგეს თავიანთი გულების მესაიდუმლე, ქართული საბავშვო პოეზიის ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი, რომელსაც შეეძლო ნორჩთა სულებში ჩაწვდომა და მათგან ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეების ჩამოყალიბება.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მაყვალა მრევლიშვილმა მშობელი ქვეყნის, მშობელი ერის უანგარო სამსახურში გალია. იგი, დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე მწერალი, დახვეწილი და რაფინირებული ინტელიგენტი, ჩინებული მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს ჭეშმარიტი შემოქმედი სამშობლოს, მის წმიდათაწმიდა იდეალებს.

მაყვალა მრევლიშვილი დაიბადა 1909 წლის 14 თებერვალს გამოჩენილი ქართველი მხატვრის ალექსანდრე მრევლიშვილის ოჯახში. მას ბავშვობიდანვე მწერალთა და ხელოვანთა გარემოცვაში მოუწია ყოფნა, რამაც განაპირობა მისი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბება, პოეტური გემოვნების დახვეწა.

მაყვალა მრევლიშვილმა 1925 წელს დაამთავრა თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, ხოლო 1930 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ლიტერატურული განყოფილება.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მაყვალა მრევლიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქტორად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად, მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელად, საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო სექციის ბიუროს მდივნად, ჟურნალ „დილას" მთავარი რედაქტორის მოადგილედ. სადაც არ უნდა ემუშავა ამ სპეტაკ და სიკეთით სავსე ადამიანს, რა საქმეც არ უნდა ეკეთებინა, ყველაფერს თავისი სულის ნათელს დაამჩნევდა ხოლმე.

მაყვალა მრევლიშვილის შემოქმედებითი ნათლობა 1927 წელს შედგა, როდესაც გამოაქვეყნა პირველი ლექსები ქართველ ქალთა ალმანახში. მისი პოეტური კრებულები „გულისა", „ჩემი ზეკარი", „ჭირნახული", „მზისკენ" და სხვები გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა. პატრიოტიზმი, სიყვარული, მოგზაურობა, სპორტი — აი, ამ კრებულებში შესული ლექსებისა და პოემების თემატიკა, რომელიც შემდგომში გაფართოვდა, ჟანრობრივად უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა.

და მაინც, საყოველთაო-სახალხო აღიარება და სიყვარული პოეტს საბავშვო ლექსებმა და პოემებმა მოუტანა.

ქართველმა ბავშვებმა გულით შეიყვარეს მაყვალა მრევლიშვილის მზით გასხივოსნებული პოეზია. პოეტმა შესძლო ქართული საბავშვო მწერლობის თემატიკის გაფართოება და გამდიდრება, მასში ახალი რიტმის, ახალი პოეტური სამკაულების შეტანა.

„დილა მშვიდობისა", „კიკლიკიკლი კიბესა", „ყოჩი ავტო", „ჭანჭიკელა", „ბიჭი-ბიჭანჭური", „ვისია ზიზია", „დიმპიტაური", „საწყალი კურდღელი" და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი მარგალიტი შესძინა მაყვალა მრევლიშვილმა პატარების წიგნის თაროს.

სწორედ მისი წიგნებით სწავლობენ ანბანს ქართველი ბავშვები, სწავლობენ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, ერთგულებასა და თავდადებას, სწავლობენ გმირობისა და ვაჟკაცობის ფასს. მაყვალა მრევლიშვილის პოეზიას ძალუმად გამოარჩევს სახეთა სურათოვნება, მუსიკალობა, ფრაზის სინათლე და სინატიფე, მსუბუქი, ხალასი იუმორი. სწორედ ამიტომაა, რომ მისმა შემოქმედებამ, რომლის უპირველეს და უმთავრეს დანიშნულებას მოზარდი თაობის სულიერი ჩამოყალიბება წარმოადგენს, საფუძვლიანად დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ოქროს ფონდში.

მაყვალა მრევლიშვილმა სიყვარულითა და რუდუნებით თარგმნა ქართულად ფრანგული ხალხური საბავშვო ლექსები, შარლ დე კოსტერის რომანი „ულენშპიგელის ლეგენდა". მის კალამს ეკუთვნოდა რამდენიმე პიესა, აგრეთვე, გადამუშავებული ქართული ხალხური ზღაპრები („ორიმისა", „კომბლე"...).

ღირსეულად დაფასდა მაყვალა მრევლიშვილის ღვაწლი. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. დაჯილდოებული იყო, აგრეთვე, იაკობ გოგებაშვილის მედლით და შიო მღვიმელის პრემიით.

მაყვალა მრევლიშვილის სიცოცხლე სამშობლოს მერმისისათვის ანთებულ ლამპარს ჰგავდა. მის სახელს დავიწყება არ უწერია. ქართული ლიტერატურის ისტორიაში საპატიო ადგილს დაიჭერს მაყვალა მრევლიშვილის, ქართველ ბავშვთა გულთა მესაიდუმლის, სახელი.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

ეს ჩვენი საქართველოა!



რთველი კარზეა.
ჯანო დემეტრაშვილის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

რეპორტაჟი აფხაზეთიდან

2. ეს იყო ომი

(დასასრული)

დიდძალი ფული შეუგროვეს არძინბას იარაღის შესაძენად. სატუროვმა მოსკოვში ხუთოთახიანი ბინა და ორი „მერსედესი" (!) უყიდა აფხაზთა ლიდერს. საკუთარ მიწაზე ომის გაჩაღებისათვის ხელშეწყობას, ის არ სჯობდა, სისხლისაგან დაცლილ, გაჭირვებაში ჩავარდნილ სამშობლოს დახმარებოდნენ? მაშინ ხომ სომხეთს აღარ დასჭირდებოდა 100 ათასი ტონა სურსათის თხოვნა თურქეთისათვის?

• • •

სოხუმის ბაზარი. კანტიკუნტად არიან მყიდველები და გამყიდველები. არც არის გასაკვირი. საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის. ხალხს ეშინია კალიასავით გამრავლებული მძარცველების, საკუთარი ჩრდილიც კი ავტომატმომარჯვებული მაროდიორი ჰგონია.

აქაური ფასები დიდად არ აღემატება თბილისურს: საზამთრო 5-10 მანეთი, ჭყინტი სიმინდი — 10, სიგარეტი „ბონდი" — 100; კვერი — 10-12, მწვანილეული — ასევე თბილისურ ფასებში. საქონლის ხორცი მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდა. ღამდება, მეჩქარება, 90 მანეთად მოგცემთო, — გვითხრა. კიტრსა და პამიდორს არ წავეწყდომივართ. მწვანე ვაშლს ათ მანეთს აფასებდნენ.

ბაზრის მეორე სართული ცარიელი იყო. მხოლოდ ორი უჯიშო მურა ძაღლი ეცილებოდა ერთმანეთს საიდანღაც მოთრეულ ძვალს და გაავებით იღრინებოდა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ბაზრის ტერიტორიაზე არსებულმა სოხუმის სურსათ-ვაჭრობის მეხუთე გასტრონომმა. მაღაზიაში შებოლილი თევზი იყიდებოდა და შოკოლადის კანფეტი — 80 მანეთად.

— სხვა არაფერი გაქვთ? — ვიკითხეთ.

— გაგვძარცვეს, ბატონო...

— ვინ?

— სამეზობლომ, თანამშრომლებმა...

როგორც გვითხრეს, მაღაზიიდან 816 ათასი მანეთის პროდუქცია არის გატანილი, ძირითადად, ახლომახლოში მცხოვრები ადამიანების მიერ.

გაუტეხიათ რაიკოოპკავშირის საწყობები. გაუტანიათ ტელევიზორები, სურსათი, ერთი სიტყვით, რაც ხელში მოყოლიათ, და რის წაღებაც შეიძლებოდა. „დაულაშქრავთ", გადმოუტვირთავი მატარებლის ვაგონები. სამი ვაგონი შაქარი გაუტაცნიათ. ალბათ, ყოველ სოხუმელს 4-5 ტომარა შაქარი მაინც ექნება სახლშიო, — გვითხრეს ნახევრადხუმრობით, ნახევრადსერიოზულად.

არსებული ფაქტების შეჯერებით და გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ: სოხუმში და, საერთოდ, აფხაზეთში მძარცველთა რამდენიმე კატეგორია მოქმედებდა და მოქმედებს. თუმცა, გასაძარცვი ბევრი აღარაფერი დარჩა.

პირველ კატეგორიას თავად ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი წარმოადგენს. იხელთეს რა დრო, არა მარტო სახელმწიფო, კოოპერაციული, ინდივიდუალური და ძვირფასი ქონება დაიტაცეს, არამედ ერთმანეთის სახლებშიც კი შეძვრნენ.

როგორც გავიგეთ, სოხუმელ მაროდიორთა ერთმა ჯგუფმა გასაძარცვი მდიდარი ოჯახების სიაც კი შეადგინა და ყველას სათითაოდ „დაუარა". ხალხი ლინჩისა და ჯუნგლის კანონებით უსწორდებოდა ერთმანეთს. ვინმეს თუ ვინმესგან რაიმე წყენა ახსოვდა, ახლა გაუხსენა და იყარა ჯინი.

მეორე კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდნენ საქართველოს ყველა კუთხის ნარკომანთა, სისხლის სამართლის დამნაშავეთა, კანონიერ ქურდთა, მკვლელთა, ოჯახსა და ქვეყანას მოძულებულთა დიდი ჯგუფები, რომლებიც აქ საძარცვავად, გასამდიდრებლად ჩამოვიდნენ, ვინ შეიარაღებული იყო, ვინ კიდევ დანიშნულების ადგილზე ჩაიგდო ხელში იარაღი, გადაიცვა სამხედრო ფორმა და შეუდგა მუშაობას.

სხვა საქმეა — ჩეჩნები, ადიღეები, ინგუშები... მათ ხომ ძარცვისა და გლეჯის მეტი, სხვა მიზანი არც ჰქონდათ.

ეს ბიჭების სერიოზულ შეშფოთებასა და უკმაყოფილებას იწვევს. რაღა ძალა უნდა შეგრჩეს, როცა ერთი იბრძვის, სისხლს ღვრის, მეორე კი ზურგსუკან ძარცვავს, თან იძახის, შემხედეთ, რა დიდი პატრიოტი ვარო... განუკითხაობა და ქაოსია. ვინმემ რომ მოინდომოს, აეროპორტის დაბომბვაც არ გაუჭირდება.

— აეროპორტს არავინ დაბომბავს! — გვითხრა ერთმა ჯარისკაცმა ირონიულად.

— თუ ამის საშუალება ექნა, რატომ არ დაბომბავს? — ვკითხეთ.

— არ დაბომბავს და იმიტომ, — მოგვიგო ამჯერად ცოტათი გაგულისებულმა. — იცით, თქვენ, ყოველდღე რამდენი ნაძარცვი გადის აქედან, რამდენი ძვირფასეულობა, სხვადასხვა საქონელი. გააქვთ არა მარტო ჩვენებს, არამედ სომხებს, რუსებს, ებრაელებს. შემმოწმებელი კი არავინ არის. ატომური ბომბი რომ შემოიტანონ ან გაიტანონ, კაცი ვერაფერს გაიგებს. აეროპორტი მარტო ჩვენ კი არა, იმათაც სჭირდებათ... ამიტომ არ დაბომბავენ.

— მაინც რით კეთდება ფული?

— ხანდახან ჩვენი ტანკები უბენზინობის გამო უმოქმედოდ დგანან, ბაზა კი სავსეა საწვავით, ოღონდ, ძალიან დიდი ვიღაცეები ითბობენ ხელს.

ასეა, ბრალიანი უბრალოს გაყვაო, იტყვიან. რამდენ პატიოსან მებრძოლს, სამშობლოზე ნამდვილად შეყვარებულ პატრიოტს უფუჭდება სახელი ამ უღლეური ვირთხების შავი საქმეების გამო. ომს თავისი კანონები აქვს. უდისციპლინო ჯარისკაცი ომში კი არა, ფაფის ჭამაშიც ცოდვაა.

• • •

ღამეა. „ორბი" მარშრუტით — სოხუმი — თბილისი — თელავივი აფრინდა. ვინ დროებით ტოვებს აფხაზეთს, ვინ — სამუდამოდ. მთელი გზა ჩუმად არიან ებრაელები, ხმას არ იღებენ. ზოგიერთის თვალზე ცრემლიც შევნიშნეთ.

თვითმფრინავის ილუმინატორიდან ვიცქირებით. ღამის წყვდიადშია ჩაძირული. საქართველო, ჩვენი პატარა ქვეყანა. ალაგ-ალაგ, რომელიმე ქალაქს ან სოფელს რომ გადავუფრენთ, იფეთქებს სინათლე და გააპობს წამით წყვდიადს...

ია კალანდარიშვილი,
ზაურ მაკარაძე.

სოხუმი — თბილისი.

ვაზივით გამძლე და ხვავრიელი

ვაზივით გამძლე და ხვავრიელი გამოდგა შესანიშნავი ტრადიცია, რომელსაც თელავში ათიოდე წლის წინათ ჩაუყარა საფუძველი თვალსაჩინო ქართველმა პიანისტმა ელისო ვირსალაძემ. უკვე მეცხრედ გაიხსნა მუსიკალური ფესტივალი „ქება ვაზისა", როგორც მისმა უცვლელმა წამყვანმა, მუსიკათმცოდნე ევგენი მაჭავარიანმა აღნიშნა, ეს ზეიმი კიდევ ერთხელ ნათლად შეახსენებს ადამიანს, რომ იგი შემოქმედებისთვის არის გაჩენილი და არა ნგრევისთვის.

თელავის დრამატული თეატრის დარბაზში მყოფ საზოგადოებრიობას მიესალმა საქართველოს კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე.

ფესტივალის მონაწილენი 15 სექტემბრამდე ეზიარებიან მუსიკის დღესასწაულს.

ზურაბ არსენიშვილი.

●

„ამირანის თქმულება"

როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია „ამირანის თქმულება", რომელშიც ჩამოყალიბებულია სრულიად ახალი კონცეფცია ამ ჩვენს უძველესსა და უპირველეს მითოლოგიურ თქმულებაზე, კარს გაგიხსნით ქართული ცივილიზაციის დასაბამისაკენ.

წიგნის შეძენა შეგიძლიათ გამომცემლობა „მერანის" საფირმო მაღაზიაში (რუსთაველის გამზირი, 42).

როსტომ ჩხეიძე
ამირანის თქმულება

ჩვენ „ვეფხისა და მოყმის" ბალადამ გაგვზარდა,

მარატ ღვალაძე

თითქოს წინასწარმეტყველური აღმოჩნდა საქართველოს მთავრობის დადგენილება „დონორობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ", და აი, აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას სწორედ აღნიშნული დადგენილება ძალზე წაადგა.

საქართველოს დედაქალაქ თბილისში მრავალი სხვადასხვა სამედიცინო ხასიათის დაწესებულებაა, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელ ხალხს ემსახურება. ასეთ დაწესებულებებს მიეკუთვნება თბილისის სისხლის გადასხმის ცენტრალური სადგური, რომელიც აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის ქუჩის № 45-ში მდებარეობს.

სწორედ აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის შედეგად მრავალი ქართველი თუ აფხაზი დაჭრილის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელია სისხლი, რომელიც ჩვენივე ხალხმა უნდა გაიღოს.

დღითიდღე მატულობს ხალხის ნაკადი საკუთარი სისხლის გასაღებად ცენტრალურ სადგურში. მუხლჩაუხრელად მუშაობს დაწესებულების ყველა ლაბორანტი და ექიმთა პერსონალი. სპეციალური ბრიგადებია შექმნილი, რომელთაც უწევთ გასვლა და თბილისის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში სისხლის გაცემის ოპერაციის ადგილებზე ჩატარება, შექმნილია სპეციალური გრაფიკი.

„ჩვენ ინტენსიური მუშაობა გასული კვირის სამშაბათიდან დავიწყეთ, — ბრძანებს სისხლის გადასხმის ცენტრალური სადგურის მთავარი ექიმი ქალბატონი ციალა ჭუმბურიძე. — დღეისათვის 650-მა კაცმა გაიღო სისხლი, რომელიც 130 ლიტრს აღემატება".

როგორც ადგილზე არსებული მონაცემებით დავადგინეთ, სისხლის გაღების საქმეში განსაკუთრებული ენთუზიაზმი გამოუჩენიათ თბილისის სამხედრო პოლიციის და სადღეღამისო დაცვის სამსახურების მუშაკებს, სამედიცინო დარგის სისტემის თანამშრომლებს, ისინის, მთაწმინდის და ჩუღურეთის წარმოება-დაწესებულებების მშრომელებს, რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროების, საxგაზის კონცერნის აპარატის მუშაკებს. ასევე სამაგალითოა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის, აეროპორტის სამმართველოს, ფირმა „ეგრისის", რესპუბლიკური სტომატოლოგიური ცენტრის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბბინის, სილამაზის სალონის თანამშრომელთა თავდადება და სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსად მივიჩნიეთ საქართველოს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გაღებული სისხლის, ასე ვთქვათ, მიზნობრივი დანიშნულება, რასაც ინსტიტუტის ოფიციალურ მიმართვაში ვკითხულობთ:

ანუ ქართველთა სისხლი აფხაზ დაჭრილებს

„გთხოვთ ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებით გაღებული სისხლი გაგზავნოთ აფხაზი ეროვნების ჯარისკაცთა სამკურნალოდ. ამას ვშვრებით არა იმიტომ, თითქოს მხარს ვუჭერდეთ მათს და მათ ხელმძღვანელთა მოქმედებას, არამედ იმიტომ, რომ მათი ტკივილიც გვტკივა და „ვეფხისა და მოყმის" ბალადაზე ვართ გაზრდილები". მიმართვა-თხოვნას ხელს აწერს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ბატონი ვაჟა გურგენიძე.

გუშინ სისხლის გადასხმის ექიმ-სპეციალისტთა ბრიგადები ემსახურებოდნენ თბილისგვირაბმშენისა და თბილისტექმომსახურების ცენტრის თანამშრომლებს.

მალე გამოჯანმრთელებას გისურვებთ ქართველო და აფხაზო მეომრებო. გწამდეთ, რომ ყველა შეძრწუნებულია მომხდარი უბედურებით, მაგრამ ისიც ნათელია, რომ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია".

გწყალობდეთ ღმერთი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

„იმედი" ევროპაში მოემგზავრება

ქუთაისი, საქინფორმის კორესპონდენტი მაკა კილაძე. ქუთაისნიუპორტის ასოციაციის მიწვევით, დღეს ქუთაისიდან დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის ფოლკლორული ანსამბლი „იმედი". ერთი კვირის მანძილზე, 84 ქართველი მოსწავლე უელსის საერთაშორისო ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულ კონცერტებზე აჩვენებს სპეციალურად მომზადებულ თეატრალიზებულ წარმოდგენას.

ქუთაისის მოსწავლეებს კონცერტები ექნებათ ევროპის რიგ ქალაქებში, მათ შორის პარიზში, სადაც წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე მათ პროგრამას სატელევიზიო არხი „ევროპა პლიუსი" გადაიღებს.

ვალუტის კურსი

სრულიად რუსეთის საბირჟო ბანკი გვაუწყებს, რომ 1992 წლის 8 სექტემბრიდან რუსეთის ფედერაციის მანეთისადმი დადგენილია უცხოური ვალუტის ასეთი კურსი

ვალუტის დასახელება	შესასყიდი კურსი	გასაყიდი კურსი
1 ამერიკული დოლარი	185 მან. 80 კაპ.	224 მან. 90 კაპ.
1 გერმანული მარკა	132 მან. 45 კაპ.	160 მან. 32 კაპ.
10 იაპონური იენი	15 მან. 10 კაპ.	18 მან. 30 კაპ.
1 გირვანქა სტერლინგი	369 მან. 70 კაპ.	447 მან. 51 კაპ.
1 შვეიცარიული ფრანკი	149 მან. 26 კაპ.	180 მან. 67 კაპ.
1 ფრანგული ფრანკი	38 მან. 88 კაპ.	47 მან. 06 კაპ.
100 იტალიური ლირა	17 მან. 00 კაპ.	21 მან. 00 კაპ.
1 ავსტრიული შილინგი	18 მან. 83 კაპ.	22 მან. 79 კაპ.
1 შვედური კრონა	36 მან. 23 კაპ.	43 მან. 85 კაპ.
1 ფინური მარკა	48 მან. 03 კაპ.	58 მან. 13 კაპ.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა მორიგი საინფორმაციო ლექტორიუმი გაიმართება ა. წ. 10 სექტემბერს 17 საათზე მთავრობის სახლის საკონფერენციო დარბაზში.

რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობის, მისი გაჯანსაღებისა და კრიზისიდან გამოსვლის ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ბატონი ვაჟა ჯინჯიხაძე.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე გამოვლენ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სოციალური მართვის ცენტრი.

გამოსათხოვარი

გიორგი მალაშხია



დასავლეთ საქართველოში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოების წარმოებისას მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი კოლეგა და მეგობარი **გიორგი ზურაბის ძე მალაშხია.**

იგი დაიბადა 1952 წლის 2 ივნისს. 1969 წელს დაამთავრა თბილისის №55 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგაც — 1974 წლიდან მუშაობდა მშენებლობის სამინისტროს მე-13 ტრესტში, კაპიტალური მშენებლობის სამმართველოში, ხოლო 1987 წლიდან დღემდე — სააქციო საზოგადოება „აისის" მრავალდარგოვანი ფირმა „ვირას" მთავარ ინჟინრად.

გიორგი მალაშხიამ დიდი ამაგი დასდო მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის საქმეში საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთს. ეხმარებოდა ხელმოკლე ოჯახებს, ინვალიდებს, ჭეშმარიტი სიყვარული დაიმსახურა ხალხისა, და აკი, მათაც გულმხურვალედ დაიტირეს ღირსეული მამულიშვილი.

წავიდა ჩვენგან ნაღდი კაცი, შესანიშნავი პროფესიონალი, ოჯახისა და მეგობრების დიდად მოყვარული ადამიანი.

ნათელი დასდგომოდეს მის ხსოვნას.

სააქციო საზოგადოება „აისი", მრავალდარგოვანი ფირმა „ვირა".

გამოიწერეთ 1993 წლისათვის!

მაშინ, როდესაც ჩვენს გარშემო ყველაფერი ძვირდება და ფული უფასურდება, ხელმოწერა 1993 წლისთვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე" იაფდება.

დიახ, იაფდება!

წლეულს ჩვენი გაზეთი 2 მანეთად იყიდება, გაისად ხელმომწერათათვის მანეთი და 80 კაპიკი ეღირება და 1993 წლის ბოლომდე, ინფლაციის ნებისმიერი ზრდის მიუხედავად, ამ ფასს შევინარჩუნებთ.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო გარანტიას გვაძლევს, რომ თითოეულ ხელმომწერს დაუგვიანებლად ჩაბარდება „საქართველოს რესპუბლიკის" ყველა ნომერი. ფოსტალიონების მომსახურებას თქვენ აფინანსებთ, პატივცემულო მკითხველებო, რადგან 80 კაპიკი, თქვენს მიერ გადახდილი მანეთის და 80 კაპიკისა, სწორედ საამისოდაა გამიზნული.

ერთადერთი ყოველდღიური

ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

„საქართველოს რესპუბლიკაზე" ხელმოწერა ნახევარი წლით მხოლოდ 234 მანეთი ეღირება, ერთი წლით — 468 მანეთი.

„საქართველოს რესპუბლიკის" გაიაფება მოწყალების გაღება არ გეგონოთ, თქვენთვის ხელის შეწყობაა მხოლოდ.

თქვენც, დარწმუნებული ვართ, ხელშეწყობითვე გვიპასუხებთ — გამოიწერთ „საქართველოს რესპუბლიკას" 1993 წლისთვის!

„საქართველოს რესპუბლიკა" ყველაზე იაფი პერიოდული გამოცემაა.

ხელმოწერა კიდევ უფრო იაფი დაუჯდებათ იმ მკითხველებს, რომლებსაც 1992 წლის ბოლომდე გამოწერილი ჰქონდათ ჩვენი გაზეთი და დამატებითი ხელმოწერის გამოცხადების შემდეგ გადაიხადეს 5 თვის 110 მანეთი ან 4 თვის 88 მანეთი.

ეს ფული გამოაკლდება საგაისო ხელმოწერის ღირებულებას. ამისთვის საკმარისი იქნება „სოიუზპეჩატის" იმ განყოფილებაში, სადაც 1993 წლის ხელმოწერას გააფორმებთ, წარადგინოთ 1992 წლის წლიური ხელმოწერისა და დამატებითი ხელმოწერის ქვითრები.

ბევრი არ არის, მაგრამ მაინც შეღავათია თქვენი ოჯახის ბიუჯეტისთვის, მით უფრო, რომ საცალო ვაჭრობაში გაზეთი 3 მანეთად გაიყიდება.

ჩვენ მხოლოდ ერთმანეთით და ერთმანეთისთვის ვარსებობთ, ძვირფასო მკითხველებო!

ჩვენი ინდექსია 66434

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434